

# მკი

შინაარსი: მეთაური.— ლტოლვა ირაკლისი, ლექსი შ. ამირჯიბისა.— ერობა, გ. გვაზავასი.— დათვი, ზღაპარი ვაჟაფშაველასი.— ჩემს სტრფოს, ლექსი ი. გრიშაშვილისა.— ერის უფლება, Bâton-ისა— ჩვენი თეატრი.. — ქართულ სამართლის ისტორია, ი. ჯავახიშვილისა.

27 სექტემბერი 1909 წ.

## სამშობლო ენას თავიდანვე პატრონობა უნდა

ადამიანის სულიერი სიმდიდრის სალარო— ენა არის ერთი მეტად სათუთი არსება, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და შევლას. ოჯახი მას ასაზრდოებს, ლიტერატურა აწვითარებს და აფაქიზებს, ხოლო სკოლა შეგნებულად ავრცელებს, ათვისებებს მოზარდ თაობას.. დაასუსტეთ ერთი მათგანი და მაშინ თვით ენაც დასუსტდება, მისი ნორმალური, ბუნებრივი ზრდა შეჩერდება: ენა აზრის განვითარებას ვეღარ გაყვება და დაძაბუნდება. ხოლო სამშობლო ენის დაძაბუნება, დაძაბუნება იმ ენის, რომელიც ორგანიზმალად შეკავშირებულია ხალხის სულიერ ზრდა-განვითარებასთან, ნიშნავს თვით ამ ხალხის დაძაბუნებას, მის სულიერ დაქვეითებას. ეს აზრი დღეს იმდენად ცხადია, იმდენად საანბანო ქეშმარიტებას წარმოადგენს, რომ ყოველ შეგნებულ პიროვნებისათვის და ჯგუფისათვის შეურყეველ ცნებათა მიჩნეული. ხოლო მისი ქეშმარიტებად აღიარება გვაძლავს განსაკუთრებულ ყურადღებით მოვეპყროთ ჩვენ ისტორიულ გონებრივ საზრდოს, სალაროს და თუ მას რაიმე ხიფათი მოელის, ზომები მივიღოთ მის დასაცავად. შეგნებულ ქართველს დღეს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ამ საკითხს და თუ ათასჯერ თქმულა და დაწერილა მის შესახებ, ათას პირველ-ჯერაც შეგვიძლია მოვაგონოთ საზოგადოებას თავის მოვალეობა. ყოველი ისტორიული მომენტი მოითხოვს თავის შესაფერ მოქმედებას, ხოლო ამისათვის წინასწარ გათვალისწინებას თანამედროვე მდგომარეობისას.

დღეს ჩვენ ისეთ ისტორიულ ხანაში ვართ, როცა შესუსტებულია ჩვენ ცხოვრებაში ის უხილვი ისტორიული და თანამედროვე ფსიხიური ძაფები, რომლითაც პიროვნებანი ურთიერთ შორის

ერთობას გრძნობენ და ამ გრძნობა შეგნების ძალით ცდილობენ თავიანთ საზოგადოებრივ ერთეულს, ერს ემსახურონ. ეს დასუსტება კი ნათლად სჩანს ჩვენ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ოჯახი ჩვენი, რომელიც ასე თუ ისე წინ წასულა, აღარაა ძველი ტრადიციების დამცველი, ის არ გრძნობს შესაფერ კავშირს წარსულთან და არც პატივს სცემს მას, რამაც შექმნა ჩვენი კულტურული ძალა. ამიტომაც დღეს ქართულ ოჯახში ქართული შემოკლებულია, და მისგან შექმნილი კავშირი ოჯახის წევრთა შორის ისევე დასუსტებული, როგორც მათ შორის ზნეობრივი კავშირი.

სკოლა ხომ სულ ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული. უმთავრესად ის არის აღსანიშნავი, რომ დღეს ქართული სკოლა არც კი არსებობს. მეცნიერება და ხელოვნება იმ დაწესებულებაში, სადაც მოზარდი ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში გონებრივად და ესთეტიკურად იწურთება, ქართულ ენაზე არ შეისწავლება. და, რასაკვირველია, აშკარა უნდა იყოს, რომ სანამ ამ მოვლენას ბოლო არ მოვლავთ, სამშობლო ენაზე აზროვნება და შემოქმედება ფრთას ვერ გაშლის და შესაფერად ვერ გაიფურჩქნება, რაც არ უნდა ვეცალოთ. სამწუხაროდ ჩვენ ვერ შევსძელით არამც თუ ამ ძირითად დაბრკოლების დაძლევა, — ის მცირედი კუნჭული თანამედროვე სკოლისა ვერ დავიცავთ და ვერ გავამაგრეთ, რომელიც სახელმწიფომ მოგვაკეთნა. როგორც ვიცით, ყოველ სასწავლებელში რამდენიმე გაკვეთილი დათმობილი ჰქვს ქართულ ენასაც. მართალია ეს გაკვეთილები უფრო ხშირად უკანსკნელ საათებს შეიცავს, მაგრამ დიდის მოლოდინში მცირედისთვის მაინც უნდა მოგვეარა, რომ მალე სულ არ წაგვეგო საქმე. და რომ ჩვენ ამ მცირედსაც არ უვლით, ეს დღეს ყველასთვის ცხადია. ქართველი საზოგადოება სრულიად არ აქცევს ყურადღებას და არც არავითარ ზომას მიმართავს, რომ თანამედროვე სკოლიდან სულ ფეხი არ ამოუკვეთონ ქართულს ენასა. ამის შედეგია ყოველ-



ლის უწინარეს ის აბუჩად ავდებდა, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ. ცხადია, პატივს არავინ გცემთ, თუ თქვენ თვითონ თქვენს ღირსებას და ადამიანობას არ აფასებთ, და რომ ჩვენ ღირსებას ნაკლებ ვაფასებთ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევს, თუ ვინ ასწავლის დღეს ჩვენ სკოლებში ქართულს, საზოგადოდ ასწავლიან თუ არა, და თუ ასწავლიან, — როგორ. ამ უყურადღებობამ საზოგადოების მხრივ ლამის სულ ჩააქროს ქართული ენა მთავრობის სასწავლებლებში. ასეთ მდგომარეობას ჩვენ ვერ შეგუირდებით და მთელი შეგნებული ჩვენი საზოგადოება ვალდებულია მუდამ გათვალისწინებული ქონდეს თავისი მომავალი და იმის ცდაში იყოს, რომ სკოლა გადაგვარების მაგიერ გაჰხადოს განვითარების საშვალეებად. ხოლო სანამ ამ ძირითად მისწრაფებას განვახორციელებდეთ, გაფაციცებით ადევნოს თვალყური დღევანდელ სკოლებს და მოსთხოვოს მათ, ვისაც ამ სკოლებში მუშაობა უკისრიათ, პარნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

მაგრამ, ცხადია, თანამედროვე პირობებში ჩვენ ბევრს ვერას ვაფასებთ ამ ნიადაგზე და ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება მეორე მხარეს უნდა მივაქციოთ. ესაა კერძო თვითმოქმედება, შეგნებული მუშაობა საზოგადოებრივ დაწესებულებათა გარეშე.

ვისაც სიცოცხლის ძალა აქვს, ის ყოველთვის, როცა ერთ გზას დაუბნენ, ეცდება მეორე გაიკვილოს. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით შესაძლებელია მხოლოდ გზა თვითმოქმედებისა. ყოველი შეგნებული მამულის შვილი ვალდებულია ამ შემთხვევაში იკისროს ხელმძღვანელობა, იქონიოს გავლენა თავის გარშემო, თავი მოუყაროს პატარა წრეს და იქ იმუშაოს სამშობლო მწერლობის და ლიტერატურის შესასწავლად. მართალია, ასეთ მოქმედებას ბევრი დაბრკოლება შეხვდება, მაგრამ სამაგიეროდ ნაყოფიც დიდი იქნება. როცა კაცი რწმენით აღჭურვილი თვითმოქმედებს, მაშინ უფრო გულწრფელად, უფრო ღრმად ხნავს და სთესავს და ამნაირად თუ მისი მოქმედების ფარგალი რაოდენობითად მცირეა, სამაგიეროდ ღირსებით უფრო მაღალია, უფრო მეტის ღირსების ნაყოფს მოიმკის. და აი ამიტომაც ჩვენ მოვიწვევთ ყველა ჩვენ თანამგრობობთ მეტი თვითმოქმედებისთვის, რომ ეცადონ კერძო წრეების შექმნით აღძრან სურვილი სამშობლო ლიტერატურის შესწავლისა და შეთვისებისა.

## ლუკოლვა ირაკლისი

დანგრეულ იყო აწ ნარიყალა,  
 დანგრეულ იყო უკვე სიონი  
 და, — საქართველოს სიმტკიცის ძალა —  
 მთებში გარბოდა ბაგრატიონი!  
 დარილისკენ იგი მირბოდა;  
 პირველად ბრძოლის უტოვა ველი!  
 უკან-სკნელად იგი სტიროდა —  
 პირველად ჰქონდა მას თვალი სველი!  
 და მიძახოდენ არაგვის მთები,  
 არაგვის წყალთა ესმოდა ხმები:

„ახ ნულარ სტირ! და მშვიდობა შენს სულს, —  
 მშვიდობა შენს სულს და შენს მწუხარ ერს!  
 მუდამ სისხლითა მორწყულსა მაჟულს  
 შენი ცრემლიცა ვერ უცვლის აწ ფერს!  
 გასწი, გაფრინდი ქვეყნის ტვირთს ხსნიდი —  
 შენმა მერანმა აწ უფრო გზიდოს,  
 დამსხვრეულია შენი მახვილი  
 და შენმა მკლავმაც ვეღარ გადიდოს!  
 ისე ახლოა აწ სიკვდილამდის,  
 ვით შენ საყვარელ დარილამდის!“

„ახ, ნულარ სტირ! და კლავც ვიდრე სხვა რამ,  
 შენს სულს მშვიდობა და განსვენება!  
 მსურს ჩემთან იყო ნიადაგ, მაკრამ  
 შენი კუბოცა ჩემთან იქნება!  
 და თუ წაგიწყდა სრულად იმედი  
 და ქართლისაცა შენ აღარ გჯერა,  
 ახ, ნუ კითხულობ შენ ძეთ რა ბედი  
 და რჯულს რა რიგი მოელის წერა!  
 იქნება აღსდგეს კვალად სიონი,  
 მაგრამ ვერ ენახოთ ბაგრატიონი!“

შ. ამირეჯიბი.

## მრგობა

I

ჩვენ კიდევ ხელიდან გავსისხლტა ისტორიული მემკვირვება. როცა ვაღდებულნი ვიყავით აღგვიქონა ჩვენი ერთგული კითხვა, ჩვენ დავიწყეთ მსოფლიო პრეტენციასტყე ევირდი და ბაქა-ბუქი. ერთხელ კიდევ ვიგეგმეთ სიმწარე



ჩვენი ჩამორჩენის და პოლიტიკური უფიცობისა.— ეს-  
ლა... რა გაეწეობა—ერობაზე უნდა ვილაშარაკოთ.

რა არის ერობა?

ერობა და ავტონომია ერთი და იგივე კი არ  
არის—შუა უღვევს დიდი ზღვარია. ავტონომია—სახელ-  
მწიფოებრივი წესწებობილება, იგი თვით შეიცავს ერ-  
ობას, ვით თვის შინაგან განყოფილებას, თუმცა ორი-  
ვე—ცნება ერთი და იმავე რიგისა. ორივე ნიშნავს  
თვით-მართველობას, მხოლოდ ავტონომიური თვით-მარ-  
თველობა—სახელმწიფოებრივია, სერობო თვით-მართვე-  
ლობა კი—მხოლოდ ადგილობრივია.

მიანიჭეთ საქართველოს თვით-მართველობა და მ-  
შინ თქვენ მიიღებთ ავტონომიას; თუ კი თვით-მართვე-  
ლობა მიეცემა მხოლოდ ადგილებს, (მაზრებს, გუბერ-  
ნიებს), მაშინ მიიღებთ ერობას. ეს არის კარგ-  
ნული განსხვავება. გარდა ამისა, არის განსხვავება უფ-  
რო დრმა და ნამდვილი: ავტონომიას მიზნადა აქვს უო-  
ველ მხრივი აღორძინება ერისა, აყვავება მისი ლიტე-  
რატურის, მეცნიერების, ფილოსოფიის, გაშლა მისი  
ეკონომიური ძალ-ღონისა და განხორციელება უძვირთა-  
სისის მისის იდეალებისა. ერობა ასე მალა ვერ მიჭირ-  
ნავს, მას მიზნადა აქვს დაკმაყოფილება ადგილობრივი  
და დროებით მოთხოვნილებათა და საჭიროებათა. ესეც  
დიდი რამ არის, რა თქმა უნდა; ადგილობრივი მოთხო-  
ვნილება და საჭიროება ათას-ნაირია: ხალხს უნდა ჭან-  
მთელიობა, განათლება, გზა და სიდი, მეურნეობის გაუმ-  
ჯობესება, წვრილი კრედიტი და სხვა და სხვა... ათასი  
ამისთანა საჭიროება, დასაბამიდან დაუკმაყოფილებული,  
ჭკრავს და ჭბოჭკავს; ადგილობრივი ცხოვრების  
ძარღვის ცემას. სახელმწიფოს არც დრო აქვს არც მო-  
ვალეობა, რომ თვითონ იკისროს ამ საჭიროებათა და-  
კმაყოფილება. იგი იძულებულია გადასცეს ეს უფლება  
ადგილობრივ წარმომადგენლებს, ან თვით საზოგა-  
დობას.

ამას აპირებენ ესლა ჩვენშიაც. შემოაქვთ ერობა.  
უნდათ ადგილობრივი მცხოვრებთ მიანიჭონ უფლება  
თვითონ მოაწიონ თავიანთი ადგილობრივი ცხოვრება...  
უკაცრავად, ცხოვრება არა! აბა, ამის უფლებას ვინ მო-  
გვაშავებს! ერობას არა აქვს ასეთი დიდი სამოქმედო  
საზარეუბი. მაინც, მას შეუძლიან ბევრი ადგილობრივი  
საჭიროება დაკმაყოფილოს და ბევრი საურთი ერთ-  
განწეობილება მოაწიროვოს.

ამ მოყვანილ მოსაზრებიდან მკითხველი დაინა-  
ხავს, რომ რამდენიმე სერიოზული კითხვა თავის თავად  
იხადება ამ ნიადაგზე: როგორ უნდა იქმნას დანაწილებუ-  
ლი ჩვენი ტერიტორია ამ ერობის მოსაწივობად? რა ად-  
გილი უნდა დაიჭიროს ამ წეს-წებობილებაში საქართვე-  
ლოს სატახტო ქალაქი—თბილისი? რომელ საზოგა-  
დობას უნდა მიენიჭოს ადგილობრივი თვით-მართველობა

ბის უფლება, ან უკედ: ვის უნდა ჰქონდეს არჩევანის  
ხმა?—ბევრია კიდევ სხვა საკითხებიც, მაგრამ ეს მო-  
ყვანილი სამი საკითხი—უმთავრესია, თითქმის დერ-  
ძია, რომლის ირგვლივ ჰტრიალებენ ეველა დანარ-  
ჩენი საკითხები და ადვილად მიიღებენ ამა თუ იმ  
ფერს, სახეს და გადაწყვეტას იმის და მიხედვით, თუ  
როგორ არის გათვალისწინებული, განსაზღვრული და გა-  
დაწყვეტილი ზე-მოყვანილი სამი საკითხი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

II.

როგორი უნდა იყოს ტერიტორიული დანაწილე-  
ბა თბილისის გუბერნიის ერობის შემოსაღებად? აქ შეი-  
ძლება ბევრი მოსაზრება მოიყვანოს კაცმა, მაგრამ მ-  
თი ჩამოთვლის მაგიერ უმჯობესად მიმაჩნია ამ საკით-  
ხის დასურათება ერთი მაგალითით.

ვისაც უნახავს საფრანგეთის გზათა რუქა, იმას ეს-  
სომება თავისებური შთაბეჭდილება ამ გზებისკან. დაჭ-  
ეურებ საფრანგეთს და გერმანია, თითქო თავისებური აბლა-  
ბუდა გადაჭეფინია მთელ ქვეყნას, ისე როგორცად და  
ლამაზად არის გაუყვანილი გზების ხაზები. უმთავრესი  
ცენტრი ამ აბლაბუდის გახლავს ერთი დიდი შავი წერ-  
ტილი—პარიზი. ამ ცენტრიდან ეოველ მხრისკენ შექე-  
ბისვით მიდიან სწორი ხაზები, გადიან დეპარტამენტის  
უმთავრეს ქალაქებსეც და მიდიან საფრანგეთის საზ-  
ღვრებამდე. ამისთანა გზებს ეძახიან ეროვნულს გზებს—  
routes nationales. ეს გზები სახელმწიფო ინჟინერების  
ხელშია, კეთდება და სწარმოებს სახელმწიფო ხარჯით  
და ეჭვემდებარება მართებლობას.

თუ კიდევ უფრო დავუვირდებთ იმავე რუქას,  
დავინახავთ, რომ ეოველი დიდი ქალაქი საფრანგეთში ცენტ-  
რია თავისი დეპარტამენტისა; ამ ეოვრე ხარისხვან  
ცენტრიდან კიდევ მიდიან გზები, გადიან საზარეო ქა-  
ლაქებსეც და უკავშირებენ მათ დეპარტამენტის დედა ქა-  
ლაქს. ამისთანა გზებს ეძახიან სადეპარტამენტო გზებს  
routes departementales. მათ გაკეთებას და შენახვასეც  
ჭზრუნავს მხოლოდ დეპარტამენტი.

ესლა მივაქცობთ ეურადლება იმ შესამე ხარისხვან  
ქალაქებს, რომლებიც ითვლებიან ცენტრებად თავ-თავის  
მზრისა.—(arrondissement). აქაც დავინახავთ იმავე სუ-  
რათს, რასაც წარმოადგენს (უფრო დიდ ფარგალში)  
მთელი საფრანგეთი. ამ პატარა ქალაქებიდან ეოველ  
მხრივ მიიძლებიან პატარა-პატარა გზები და უკავშირებენ  
მზრში მდებარე დაბებსა და სოფლებს ამ პატარა ქა-  
ლაქებს, როგორც მათ შუაგულ ადგილს. ამ გზებს  
აკეთებს მხოლოდ მზრა, იგი ადვენებს თავალ ეურს  
მათ რიგინად შენახვას და ჭზარკავს ფულს მათ გა-  
სუმჯობესებლად. ეს გახლავსთ routes vicinales.



ბოლოს სოფლის გზები - chemins ruraux. მათი გაკეთება და შენახვა სსრფლო სსზოგადოების ხელშია.

მე განგებ მოგაუფხვე ეს მაგალითი, რადგანაც ის უფრო მკაფიოდ ჭხისინს და ასურათებს ზე-დაეუენებულ კითხვას. ხოლო მივატოვთ ესლასოფრანგეთი და დაუკვირდეთ თბილისის გუბერნიას. თბილისი, აშკარაა, ცენტრია მთელი გუბერნიისა. ამ შუაგულ ადგილიდან შუქებივით მიდიან მზრის ქალაქებისაკენ გზები: სიღნაღი, თელავი, გორი, ახლციხე და სხვა ქალაქები ამ გზებით არიან შეკავშირებულინი ჩვენ დედა ქალაქთან. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ყოველ მზრის ქალაქს თავის მზრისათვის. აშკარაა, გაკეთება ზარეული გზებისა, მათი შენახვა და მოვლა უნდა დაეკისროს მთელს გუბერნიას, ხოლო მეორე გზებისა—მზრის. არის მესამე მოთხოვნა—გაკეთება და შენახვა გზებისა და ბილიკებისა სოფელში ან დაბაში. ეს მოვალეობა უნდა დაეკისროს სოფელს ან დაბას, ან უკედ რომ ვსთქვათ, იმ ორგანოს, რომელიც მოწოდებლი იქნება სოფელში ან დაბაში.

ამ სქემიდან აშკარაა, რომ ადგილობრივი თვითმართვლობა უნდა იქნეს სამ-ხარისხოვანი, უნდა წარმოადგინდეს შენობის სამსართულს. მესამე სართული ამ შენობის იქნება ერთ თვლიანი—საკუბერნიო ერთბა; მეორე სართული წარმოგვიდგინს იმდენს თვალს, რამდენიც მზრის გუბერნიასში; მესამე, ქვევითა სართული—თავისებურად მოწოდებლს სოფლის სსზოგადოების, რიცხვით იმდენს, რამდენიც იქნება ეს სსზოგადოება. ამ უკანასკნელ დაუფლავს ჭქვიან „წვრილი სკერობო ერთეული“. მათი რიცხვი ჩვენს გუბერნიასში იქნება ორსაიდან სამასამდე.

გზა ერთი საჭიროებათაგანია ხალხის ცხოვრებაში; ეს მიკალოთი მე ავიდე მხლად იმიტომ, რომ იგი გეომეტრიულად შეიძლება დაისატოს და სურათად წარმოუდგეს კაცს. ის გზა, რომელსაც საფრანგეთში ერთუნულს უძახიან, ჩვენშიაც სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს და სახელმწიფომ უნდა დასარჯოს მასე ფული. ვსთქვათ, არის გზა, რომელიც შადის შავი ზღვის ზირიდან და თავდება კასპის ზღვის ზირად ამისთანა გზა, რომელიც აერთებს რამდენიმე საკუბერნიო ქალაქს, სახელმწიფომ ხარჯით უნდა კეთდებოდეს და ინახებოდეს.

საფრანგეთის დეპარტამენტი ედრება ჩვენებურს გუბერნიას და იქაური ართდაისმანი ჩვენებურს მზრის მამასადამე, საფრანგეთის სქემა გზის შეისხებ შეიძლება ერთბა კადმოდებული იქმნას. ყოველი ადგილობრივი საჭიროება შეიძლება ისე დასაწოდებული იქმნას, როგორც გზები. ავიდეთ, მაგალითად, ხალხის განათლება. ყოველ სოფლის სსზოგადოებაში, რა სკვორეულია, გიმნაზიის აშენება შეუძლებელია; შეუძლებელია ისე, როგორც სოფელში საკუბერნიო ან

სამაზრო გზის გაყვანა. სამაზრო გზა ას ჯერ უფრო გრძელია, ვიდრე სოფლისა. საკუბერნიო გზა კი შეიძლება ათას-ჯერ უფრო გრძელი იყოს. რა თქმა უნდა, ამისთანა გრძელი გზის გაყვანა ზატარა სოფელში ფიზიკურად მოუხერხებელია. აგრე განათლების საქმედ: სოფელი გიმნაზიის ვერ იშენებს, მაგრამ უსათუოდ უნდა ჭქონდეს დასაწიის სკოლა; მზრის შეუძლია იქონიოს გიმნაზია და კუბერნიას—ყოფრო უმდელი სსწავლებელი.

ავიდეო სხვა რომელიც გინდათ საჭიროება: ასწონდასწონეთ, გასინჯეთ იგი, და დაისახვით, რომ,—თუეცა ყოველი საჭიროება—საჭიროებაა ე. ი. ერთი და იგივეა თავის ბუნებით,—მაგრამ ადგილი დასყოფია თავის სავრცით და სიგანით. ან საჭიროება ისეთია, რომ შეეხება მთელს გუბერნიას, ან ისეთი რომ არა სცდება მზრის საზღვარს, ან სრულებით სოფლური ხასიათი აქვს. ამის და მიხედვით უნდა იქმნას მოწოდებლი ერთბა.

კომისიამ, რომელიც ესლას მოქმობს ამ კითხვების გადასწავლად, დაადგინა რომ საკუბერნიო და სამ.ზრო ერთბა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა. საჭიროა აგრეთვე ყოველ სოფლის სსზოგადოებაში სკერობო ორგანო.

III.

შქონდა კიდევ მეორე განძახვა, როცა სოფრანგეთის გზებზე ჩამოვადე ლხარაკი დაუკვირდით თბილისს, მის შუა-გულ მდგომარეობას; შეხედეთ, რა ძაფებით არის დასლართული და შექსოვლი იგი მთელს ირვულიც იდება რე მარესთან, მთელს გუბერნიასთან, და მიზსუხეთ—შეიძლება მისი ამოგლეჯა და განკერძობა სკერობო წესწოდებლებიდან?! შეუძლებელია.

ქალაქის და სოფლების განწოდებლების საკითხმა დიდი ალიაქოთი ასტეხა რუსეთში. ამბობენ, რომ ერთბას დიდ-ძლი ფული მიაქვს ქალაქებიდან და სამაგიეროდ არაფერს, ან ძალიან ცოტას ჭხარჯავს ქალაქების სასარკებლად. ბევრი ჭთიქრობს, რომ ქალაქი ერთბისაგან თავისუფელი უნდა იყოს, ვინაიდან კულტურული მოძრობა მთელი კაცობრიობის ამტკიცებს, რომ ქალაქების წინ სვლა და გინათარება აუცილებელი ზირობაა ყოველი კულტურის და განათლებისათ. ბევრს რასმე ამბობენ, ბევრი მოსაზრება მოჭყვთ ქალაქის ერთბიდან გამორიცხვის სასარკებლად, მაგრამ არც ერთი ამ მოსაზრებათაგანი არ ამტკიცებს მის აუცილებლობას, და ვერც სამართლიანობას. გამოვიკვლიათ, რაზე იხარჯება ერთბ სოფელი? კავკასიასში ერთი მილიონი ჭ სამასი ათასი მანათი იხარჯება გზებზე, თითქმის სამ მილიონამდე—სკერობო დარჯებზე, ერთ მილიონზე მეტი მიაქვს სკეპიონაწილს. რამდენიმე გროში იხარჯება ხალხის განათ-



ლებზე და ზოგიერთ სხვა საჭიროებაზე. რადგან მთელი ბიუჯეტი არ აღემატება ექვს მილიონს, ამჟამად რამ ოთხი მესუთედი მანინ ამ ბიუჯეტისა ინარჩუნებს. ვიღაცეები ადნიშნულ საგნებზე. ესაა ვიგიოთხთ: ვის უნდა უფრო გზები? სოფლებს თუ ჩვენ, მოქალაქეთ? — გზებზე განუწყვეტლად მიდის-მობრბან ჩვენი ფაქტობა, ჩვენი ომნიბუსები, ჩვენი ქარავნები. ამჟამად, რომ ეს გზები უფრო ჩვეთვის არის საჭირო, ჩვენ, მოქალაქეთათვის და არა სოფლები გვინდასოვის.

ვისთვის არის საჭირო გზის დარჩება. ვის ინტერესებს იცავს იგინი? გზის დარჩება საჭირო არის იმისთვის, რომ ამ გზებზე თვისუფალი მოძრაობა დაცული იქნას, თავისუფლად მიმდინარეობდეს ქალაქისკენ ხალხი, მათი ნაწარმი, ძალ-ღონე და ქონება. ამას ითხოვს ვაჭრები და ადგილ მიტეობა, საქონლის მოძრაობა და კაპიტალის ტრიალი. ამჟამად, გზის დარჩება მოქალაქეთა ინტერესებს იცავს.

რაც გინდა ადრე, რომელი სოფლის საჭიროებაცა გნებავთ, ბოლოს და ბოლოს მანინ გამოდის, რომ ვეკლავფერი, რაც კი ვათმედა სოფლებზე ინარჩუნება, ერთი ორად უბრუნდება ქალაქს. ავიდეთ ისეთი ხარჯი, როგორც არის, მაგალითად: გამოწვეული შეურნების წინ წასაწვად. თუ უფრო სოფლის ნაწარმობა ქალაქში მოდის, ამჟამად, უფრო გაუმჯობესება ან გათავისება ამ ნაწარმობისა საჭიროა და სასარგებლო თვითონ ქალაქისთვისა.

მართალია, ამავე დროს უმატებენ, რომ ქალაქიც, როგორც ბაზარი, საჭიროა სოფლისთვისა, მაგრამ ვაი ამისთანა საჭიროებას. სოფლებს ჩამოაქვს თავის ნაწარმობა ქალაქში, მაგრამ განა ოდესმე მიუღია ნამდვილი ღირებულება მისი ნაწარმობისა? — ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, კაცმა ნათლად დაინახოს, რომ ქალაქი სწუწის და სვამს სოფლის ენერჯიას, იგი უდავსა ექსპლუატატორია ირგვლივ მდებარე კუთხეებისა.

მოყვანილი მოსახრება ამტკიცებს; რომ ქალაქი აუცილებლად უნდა იყოს მოთავსებული სავსე საერო საეროა წესწუობილებაში. ამას ითხოვს სამართალიც: ქალაქი უფრო მდიდარია, ვიდრე სოფელი. როგორ უნდა მოაწიოს ამ უკანასკნელმა თავისი ცხოვრება, თუ ქალაქი არ მიეძველება? სახელწიფი იკურავა თქალ-სახრისათ, ვინც მდიდარია, იმან შრომისიულად უნდა შეტი იყოსრის გადასახადი; ვინც ღარიბია, ის სულ უნდა იყოს განთავისუფლებული ბეგარისაგან. ქალაქი მდიდარია, მას-სადამე ..

IV.

ჩვენთვის ამ საკითხში სხვა მხარეც არის. პოლიტიკური. საქართველოს სატახტო ქალაქი თან და

თან გადავიდა სომხების ხელში. რუსეთის უსამართლო საარჩევნო კანონი სომხებს დაუმჯობესებ შინიციანდური მეთაურობაც. დარბი ქართველობა ჩამოიხრ და არა აქვს ღონის ძეგა დაბრუნის შესაფერი ადგილი ქალაქის ცხოვრებაში. ასეთი არის ჩვენი მდგომარეობა. ეს გარემოება გვიბრძანებს, გვითვალისწინებს ერთად ერთ ტაქტიკას: არ გაუმჯობ თბილისი ხელიდან! ამიტომ საჭიროა მას გარს შემოვარტეთ ორა როგორ: ერთი საშინო, მეორე — საგუბერნია. ეს ნიშნავს: ქალაქი თბილისი უნდა იყოს ჩაკრებული თბილისის საშინო ერთბაში და ეს უკანასკნელი — საგუბერნია ერთბაში. ამ უბრალე ხარს, სამწუხაროდ, ბევრი აქამდე ვერ მიმხვდა და დმერთმა უწყის რა დობე-ფორეს ედებან... ვამეორებ, ქ. თბილისი არ უნდა გაუმჯობ ხელიდან. მისი დეარგვა — საქართველოს თავის მოწყვეტა იქნება. ე. ი. საუკუნოდ დამარხვა ჩვენი პოლიტიკური ბედისა.

გ. გვაზავა.

ლ ა თ ვ ი

(ზღაპარი).

გამარჯვებული დათვი სარკეში იცქირებოდა: წვერს ივარცხნიდა, უღლაშებს იწყებავდა, იმშვენებდა; თვალებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დიდად ხან გაახელდა, ხან მიპლულავდა და გუნებაში ამბობდა: „იპ, იპ, რა ბიჭი ვარ, ძალიან მოხდენილი ვარ, ძალიან! ჩემზე ლამაზი დედა-მიწის ზურგზე არც ერთი ცხოველი არ მეგულება. ღონი? — კატა. ვეფხვი? — ისიც ხომ კატა. მგელი? — ძაღლია, ძაღლი. ტყუილია ჩემისთანა. ამ ტოტებს უყურებთ? რა ტოტები მაქვს, თუნდა მოვდგა და ეს ქანდარი ცხლავე პირქვე დავცე?!“ სთქვა რა ეს, უკანა ფეხებზე შედგა, ტოტი ტოტს შემოჰკრა და სიამოვნებით გაიღიმა. „არა, — განაგრძო დათუნა: — მე რო წინ მიდგებიან; ვითომ რაო? რა ჰგონიათ? არ იციან რომ დავლენწავ, დავფშენეტ, ყველაფერს ნაცარ მუვრად ვაქცევ? ვინა ვარ მე? ვინ? ვის უბედავენ? — რადა სქამო? — ჯერ ერთი მშინ და ამასთანავე ძალია შემწევს. მამ ძალია, ღონე არ მოვიხმარო? გიყვი ვიქნები არ მოვიხმარო და თავს სიამოვნება მოვაკლო. ვერ მოხვდათ? ვერ იცემს ჩემი ტორები? ევრე უნდა, ბიჭმა იცის!“

ამას, იცით, ჩვენი დათვი როდის ამბობდა? — ომ გადახდილი იკვებოდა თავის სამფლობელოში, დაბურულს, უღრანს ტყეში, — მაშინ, როცა მთელი



ნინიას ოჯახი და მისი მეზობლები გვინავდნენ და ტიროდნენ დიდიან პატარაიან თავე-პირ და მსხვრეულნი, ტან დაღწილები ბიძია დათუნის წყალობით. დათვი ნინიას სიმინდში დაეჩვია: ჯერ საქონელი გაულაგა ბაკიდან, რაც კარებზე პანტა-პუნტები ედგა, ის ჩამოლენა და ახლა სიმინდს მიჰყო ხელი... გამწარებულმა ნინიამ ვეღარ მოითმინა, თითონ არ ჰქონდა თოფი და რის ვაი-ნაჩრობით ქართული ჯახვირი იშოვა, მთელი სოფელი შემოიარა იმის გულისათვის. მთელი ერთი კვირა მართა. როგორც იყო ჩახმახი მოაკაწინა, ტალიც ძლივ-ძლივობით იშოვა, — ერთი ორი სროლა ტყვია წამალი, და ჩაუსაფრდა თავის დამლუბველს და გამაჩანაგებელს: „თუ ვერ მოვკლავ, გაფთხება მინც ეგ ვერანაო“, ამბობდა ნინია.

დათვი ჩვეულებრივ შებრძანდა სიმინდში და დაუწყო ტარობებს ლეწა-მტვრევა. ნინიამ თოფი დაახალა დათვს, მაგრამ ააცდინა. დათუნია ეცა ნინიას, ამოიღო ქვეშ და დაუწყო ბეგვა; კარგად მიტორა. ნინიამ მორთო ყვირილი: „მიშველეთ, მომკლა დაჯგო“, დრიალებდა საცოდავი კაცი. ქმრის ყვირილზე მოვარდა ნინიას ცოლი ნენე, დედას მოჰყენნ თან შვილები ჯოხებით და კეტებოთ შეიარაღებულნი. დათვმა ყველასაც ის დღე დააყენა რაც საბრალო ნინიას. შეიქნა საშინელი წივილ-კივილი, მოცვივდნენ მეზობლები კეტებით ნინიას მისაშველებლად. დათუნამ არავინ გააბედნა, ყველა ერთმანერთს მიაკლა, ადგა და უქირველმა გასწია თავის ბუნჯისკენ. მოიგონა გარდახდილი ბრძოლა, უსამართლობა ადამიანისა, წინააღმდეგობა, ურჩობა. გამარჯვებამ თავი მოაწონებინა და სამერმისოდ გაამხნევა.

„როცა იციან მგ ბრყვებმა, ამბობდა კვალად დათვი, რომ ვერაფერს ჩამომჩჩებთან, რატომ თავისთვინ არა ყრბან?! არ ეტყვიან თავიანთ ქერქში?! მე დავტევ ძალით! ჩვენი შრომაო, ჩვენი ოფლი დათვს მოუნდაო, გაიძახიან. მომინდა? ალბათ შამკრება კიდევ. თუ არ შამერგება, წაიღონ! ეცადონ, ვის, ან რაღას ელიან?! აი მე და აი ისინი! გაგიხარებ კარგად მოვტორე ყველანი, ვგონებ რომ ვეღარ გაბედონ კრინტის დაძვრა. ბრყვები, სულელები! ჰჰ, ჰჰ, ვერ უყურებ მაგათ თავ-ხედობას!“ ბურტყუნებდა თავისთვის დათვი კალხზე შემდგარი. უსვამდა ტოტებს წიფლისა და მუხის ბონცურებს, ამსხვრევდა, ჰლეწდა, — ეგონა ისევ სიმინდში ვარ და ხალხს ვეომებო.

როცა გული მოიჯერა ბობოქრობით და ორონტრილით დათვმა, მიიხედ-მოიხედა, შემდეგ დაყუთდა, თავი დაქინდრა და დაფიქრდა. „ჰოო“,

წარმოსთქვა და ბოლოს: „ვიდრე ერთი ურჩია ქვეყანაზე, ჩემი ბედნიერად ცხოვრება ყოველად შეუძლებელია სრულს ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ, როცა ურჩნი მთლად გასწყდებიან, აღიფხვრებიან პირისაგან ქვეყანისა. ამიტომ საჭიროა ყველას გონების ჩარხი ასე მოიმართოს, ასე ფიქრობდეს და სხვა გვარად არა: დაემორჩილენით უძღურნი ძლიერთა, რამეთუ მათ ხელთ არის სიცოცხლე თქვენი, ე. ი. ჩვენიო“.

II

მხეტია შორის გავარდა ამბავი, რომ ბიძია დათუნას ბრწყინვალედ გაუმარჯვებია, დაჰრევია სოფელში უიარაღო ხალხს, დიდი და პატარა ერთმანერთისთვის მიუყოლებია. ერთს ვილაკას თაჯი დაუხლია, წაურთმევია, დაუღწია და გადაუყრი ა ამ ამბის გამო მხეცებს თათბირი შეექნათ და გადასწყვიტეს ერთ ხმად დათვისთვის გამარჯვება მიელოცათ. სწორედ უნდა მიელოცათ, რადგან გამარჯვება დათვისა საერთოდ მხეტია გამარჯვებას მოასწავებდა ადამიანთა ტომზე: სუსტს ამაღლებდა, ამაღლებულს ხომ სიმაღლეს ჰმატებდა. ამ ყრილობას ვეფხვი და ლომი არ დასწრებიან, ამიტომ მხეცებმა იმათთან დელეგატები გაგზავნეს, რათა შემოერთებოდნენ საერო გარდაწყვეტილებას, მხეტია განაჩენს. ლომს მოწიწებით ეახლნენ მგელი და მელა, სალამ-ქალამის შემდეგ განუცხადეს მხეტია დადგენილება. ლომი სიბრაზისაგან თვალებიდან და კბილებიდან ცეცხლსა ჰყრიდა, იფრინა ორივენი, როგორც მელა ისე მგელი, და კულ ამოძვებულები გაგზავნა შემდეგის პასუხით: „როგორ? მე ლომი, ნადირთა მეფე, ვიხლო ტარტიანს, ყარტიანს დათუნას, უიარაღო ხალხს რომ დაერია და დაგლიჯდაფლითა? დაიკარგეთ აქედან, თქვე არამზადებო, თქვე ქეცანებო, თქვენა!.. მე ათასი და ხუთასი შეიარაღებული მფრენია, ჩემთვის არავის მოულოცია გამარჯვება, მე წავიდე და სიმშლისაგან გადახრწეული ხალხის დამარცხება მიულოცო ცინგლიანს მძოვრი-ქამია დათვსა?! გასწით და თქვენ მიულოცეთ, რაც ის არის, ის თქვენ ბრძანდებით, როგორც ალხანა ისეთი ჩაღხანაო“.

ვეფხვმა უფრო ზრდილობიანათ დაითხოვა მხეტიაგან გაგზავნილი ჩაფრები: „არა მცალიან, საქმე მაქვს, ვერ წამოვალ. თქვენ წადით და მიულოცეთ. რაღა თქვენ, რაღა მერა“. ამ პასუხით მოიშორა ვეფხვმა თავიდან დელეგატები.

პირველად დათვთან გამარჯვების მისალოცად მგლები წარდგნენ. დათვი გაბლორილი, თავ-მოწო-



ნებული დაუხვდა მგლებს, დინჯათ თაკს უკრავდა და თითქოს აგრძნობინებდა—თქვენც ცემა-ტყეპას მოელოდეთ, აუ ჩემი ხათრი და რიდი არ გექნებათ, ჩემის სახელის დ. მხოზას, აბრუს გატეხას ეცდები-თო. მკლებმა დაიწყეს: „დიდებულიო, ყოვლად ძლიერო, ორგულთა შემმუსრველო, ერთგულთა მოწყალეო, ყოვლისა კეთილით აღსაესეო, აღმატებულიო, ცათამდე აღტყინებულიო, მფლობელო ტყეთა და კლდეთა, მათა და ბარათა, მშვენიერო დათვო! გავიგეთ რა თქვენ მიერ სამაგალითოდ დასჯა ურჩთა და ორგულთა სოფლელთა, რომელთაც გაბედეს და გამოიჩინეს სიბრძნე და სიჯიუტე თქვენს წინაშე, როცა თქვენ მოისურვებდით იმათ სომინდსა და ყანის მიერთებასა, გ. ლოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას იმათზე ყოველ ქამს, უკუნითი უკუნისამდე. თქვენა ბრძანდებით უფროსი ძმა ჩვენი და გამარჯვება თქვენი არს ჩვენი გამარჯვება. ან რას ჯიუტობენ სოფლელნი და თავში ქვას იხლიან? რატომ არ უნდა დარწმუნდნენ რომ ჩვენ ვართ იმათი ბატონი და ყოველი მათი სარჩო-საბადებელი ჩვენ ხელთ არის და რომ მოვიწოდოთ ერთს დღეს გაუჩინაგებთ მთელს საცხოვრებელს. ცხვარს ან ძროხას რომ ვიტაცებთ, თოფითა და ხმლით უკან მოგვდევნენ და ძაღლებს გვისისინებენ... უსვინდისონი არა ფიქრობენ იმას, რომ ტყე და მინდორი ჩვენი საკუთრებაა და იმათი ცხვარი და ძროხა ამ ჩვენს ტყე-მინდორში იკვებება. უარესად უნდა დავსაჯოთ, უარესად! ცოტაა კიდევაც ეს სასჯელი, რაც აქამდის მივაყენეთ. გაუმარჯოს დიდებულს დათვსა, იმის ხმალსა და ძალას!..“ დამუოდენ მგლები, მარჯვენა კლანჭებს ჰაერში იქნევდენ, ხოლო კუდებს დაბლა მიწაზე ატყაპუნებდენ.

დათვმა თავისებურად, დარბაისულად მადლობა გამოუცხადა:—გმადლობთ, მგლებო, დიდად გმადლობთ, როგორც მოლოცვისა, ისე კეთილგონიერებისათვის, რომელიც თქვენ დღეს წინაშე ჩემსა გამოიჩინეთ. სწორედ სთქვით, სწორედ ჰბჰობთ. ნუ დაზოგავთ ამიერიდან სოფლელთ ნურაფერში, უფრო მომეტებული ჩვენი ხათრი მაშინ ექნებათ, როცა დაშინებულნი და შეძრწუნებულნი იქნებიან ჩვენ მიერ. ხოლო ერთი უნდა ვახსოვდეთ, სახელი ჩემი და აბრუ აღამაღლეთ ქვეყნის თვალში ქებითა და დიდებითა, რათა თქვენც აღმაღლდეთ.

მკლებმა, ვიდრე დათვს ქებას შეასხამდნენ, ლომი და ვეფხვი დაჰმგეს. იმათი უზრდელობა, უხეირობა აღიარეს დათვის წინაშე და დათვი კი ცამდე ასწიეს. ფიანდაზად გაეგნენ ფერხთ ქვეშ და დიდი ერთგულობა აღუთქვეს.

ტურებიც საბრალოდ ჰხადდნენ მხოლოდ ერთს და იმასვე: „გაუმარჯოს დათვს, გაუმარჯოსო!“ თანაც თვალთაგან გულწრფელობისა თუ გულჩვილობისა გამო ცრემლები ჩამოდოდათ დაპაღუბით. მაჩვები დაოქილები იდგნენ დათვის წინაშე, ბურტყუნებდნენ რაღაცას, იმათ ლაპარაკიდან მხოლოდ ეს გაიჩიოდა: „ჩვენო დათვო ბატონო, ჩვენც შენის ჯიშისა ვართ, შენი უმცროსნი ძმანიო. მზად ვართ ავასრულოთ შენი ყოველი სიტყვა, ყოველი ბრძანებაო და სხე.

ტყეში დიდი ამბავი იყო. ხემა და ქვამაც კი გაიგო რომ მხეცები დათვს გამარჯვებას ულოცავდნენ, ყველა მისკენ ქება-დიდების შესასხმელად მიისწრაფოდა.

კურდღლებს ამ ამბის გაგონებაზე ტანში კანკალი მოჰკადა, შეიყარნენ და მოილაპარაკეს: „ჩვენთვის დღეს აქამომდე დათვს არაფერი დაუშვებია, არც გამოგვდგომია დასაქერად და ვაი თუ ამიერიდან, რომ არ მივეულოცოთ, გაწყურეს და დაგვემტეროსო“.

ამ ფიქრის გამო გასწიეს იმათაც დათვთან საღმის მისართმევად. ახლოს ვერ მიჰხედეს და შორიდან უცხადებდნენ თავიანთ გრძნობებს, წვერების ცმაცუნით და ყურების ბარტყუნით, ხტომით და ფუნდრუკით..

კორდზე ვირი ება საბლით, გაიგო რომ დათვს ულოცავნო, მხეცთა მიდენ-მოდენამ აუტოკა იმასაც გული, გაწყვიტა სახელი და გვერდზე ცხვირ გაჭრილი გაიქცა დაათვან სახელის მოსალოცად. აჰყვა ვირიც ფეხის ხმას.

დათვის მილოცვები ორი-სამი დღე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, დათვს მოჰხივდა. ვირის დანახვა ძალიან ესიამოვნა. თუმცა ვირი დაფითა და საყვირით ულოცავდა დათვს გამარჯვებას და თანაც ფუნდრუკობდა, უვლიდა თამაშობით გარშემო დათვის საბრძანებელს. დათვი ღრმად მადლობას უცხადებდა, ტოტებზე შემდგარი პირქვე ემხოზოდა და უწოდებდა დათვსთან: „დიდად გმადლობ, ვირო, სახელოვანო ვირო, ეუბნებოდა დათვი: „შენისთანად არავის უსიამოვნებია, შენისთანა საღამო ჩემთვის არავის მოურთმევია. მოდი გაკოცო გენაცვალე, გაკოცო მაგ მშვენიერ ყელში, საიდანაც ეგ მარგალიტი სიტყვები ამომდინარებოსო“.

ვირს ქებამ თავბრუ დაჰხვია და მიიჭრა დათვთან. დათვმაც მაგრა ტოტები მოჰხვია და დაუწყო ლოდნა. წამოაწვინა და ვითომ ყელში ჰკოცნიდა, პირს უსვამდა, თან კბილები უკაწკაწებდა ლეშისთვის. ვირმა სული განაბა, თვალემა დახუჭა, სიამოვნების მორევში შესცურა: ხუმრობა საქმე ხომ



არ იყო,—დათვი, დიდებული დათვი ეალერსებოდა. დათვა, ალერსით გატაცებულმა, ყრონტში კბილი მოუჭირა. ვირმა შეჰყურა: „ვაჰმეო!“ მაგრამ დათვი უფრო უჭერდა კბილს და თან მაგრა ჰბლუჯავდა ვირს ღონიერის, მძლავრის ტოტებით. ვირმა მორთო ღრიალი: „სუ, ჩუმად, რა გაყვირებს?“ ეუბნებოდა დათვი: „მიყვარხარ, ძალინ მიყვარხარ, ჩემო ვირო!“ ეუბნებოდა-რა ამას, თან მაგრა კბილებს უყრიდა. ამ ალერსში და ხვეწნა-კოცნაში, რაღა ბევრი გავევრძელოთ სიტყვა, ვირი გათავდა. დათვი თავის საჯრფოს ყვავსა და ყოჩანს ხომ არ ვადაუვადებდა შესაქმელად, იმაზე უპრიანი იყო და მიჰყო კიდევ ხელი და არც სინილისი ჰქენჯნიდა. რატომ არა? იმიტომ რომ დათვი ძლიერია და ვირი სუსტი,—პირველი ბატონია და მეორე ყმა. ვირი იმიტომ მივიდა დათვთან—ესიამოვნებინა, დათვს კი დღეს მილოცვა აღარ ესიამოვნებოდა, რადგან ჰშიოდა, ცარიელი სიტყვების რახა-რუხი მას ხომ სასმელ საქმელობას ვერ გაუწევდა?!.. მაშასადამე სრული, უნაკულო, ნამდვილი მილოცვა—ვირისა გამოდგა, რადგან მთელი თვისი არსება ძღვნად მიართვა თავის ბატონს. ბატონ-ყმობა, თუ ვიტყვით, ამისთანა უნდა სწორედ. დათვი ასე სჯიდა: ვინც ჩემი ნამდვილი პატივისმცემელია, ჩემი სიამოვნება უნდა, რომ შევქვათ ხმა-კრინტი არ უნდა დაძრასო... დათვის შეხედულება, აზრი, მსოფლიო ცხოვრებაზე ასეთი გახლავთ საზოგადოდ: თუნდა სტუმრად მივიდეს ვინმე მასთან, თუნდა მისალოცად, ნამეტნავ მაშინ როცა ჰშიან, უნდა შეჰამოს. სიმშლილი თავისთვის იყოს,—ჩვეულება რჯულზე უმტიკიცისაო, ნათქვამია.

**ვაჟა-ფშაველა.**

(შემდეგი იქნება).

**ჩემს საცრფოს.**

თუმც, სატრფოვ, ჩემთვის მზე არც კი მზეობს და წისლებს მტყორცნის სხივ-მფენი მთვარე, თუმც გაზაფხულსა და ფრინველთა ჟღერის კვლავ ვეგებები ცრემლით, მწუხარე;

\* \*

თუმც ვარდ-ამედი ჩემს ობოლ წალკოტს აღარ ამშვენებს... აღარა ჰყვავის, თუმც ობლად შაენილს, ყველასგან დეენილს ყვავ-ყოჩანთ ხროვა თავსა დამჩაავის;

\* \*

შენ ნუ გეშინის... შორს გადასტყორცნე, შთანთქე უფსკრულში შავი ფიქრები და გრწამდეს მარად, რომ იმ სოფელშიც შენ მეყვარები... შენი ვიქნები!...

**ი. გრიშაშვილი.**

**ერის უფლება.**

აზიის ერებიც იღვიძებენ ამ ბოლო დროს, როგორც არა ვსთქვით. ჯერ ინდოეთის ხალხმა აიმაღლა ხმა თავის უფლებათა დასაცველად ინგლისის წინააღმდეგ. 1857 წელს აღსდგენ სიზახები. თუმცა ინგლისელებმა სისხლში ჩახსრფეს ეს აჯანყება, მაგრამ ინდოეთში, ამ ინგლისელ ვაჰარათაგან დაპურობილ ქვეყანაში, რომელიც შეშდევ იმპერიის საუკეთესო კუთვნილებად შეიქმნა, დაიბადა ეროვნული პატრიოტიზმი, შემართებული ინდოეთის უგულა ხალხისა საერთო მტრის—ინგლისისა და ერთობ ევროპის წინააღმდეგ. მას შემდეგ ეს პატრიოტიზმი იზრდება. ინდოეთის ინტელიგენცია მთელს თავის ძალ-ღონეს ახმარებს პატრიოტულ გრძნობის გაღვიძებას 220 მილიონ ინდოს ხალხში, და ასეთ მრავალ რიცხოვან ერს რასაკვირველია იმედი უნდა ჰქონდეს მომავალი თავისუფლებისა. მისი განთავისუფლება მხოლოდ დროის საკითხია და დამოკიდებული ხალხის მეტ შეგნებისაგან და მის პატრიოტულ გრძნობის განვითარებისაგან. კერზონის სიკვდილი უკვე კეთილი მახარობელია ამ მოვლენისა ინდოელებისათვის.

ჩინეთი ისე აღარ ემორჩილება ევროპას, როგორც ეს მეტწილად საუკუნის მეორე ნახევარში იყო და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში; განახლებულ იაპონიასთან ერთად და მისი ხელ-მძღვანელობით იგი ემზადება საშინელი ბრძოლისათვის, რომელმაც უნდა გადასწვიტოს მისი ნამდვილი დამოუკიდებლობა და შეიძლება მთელი აზიისა. იაპონიამ უკვე პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა აზიის ასეთის დამოუკიდებლობისაკენ რუსეთის დამარცხებით. მალე გამოჩნდება აზიაშიც აზიელი მონროე, რომელიც განახლებს—აზია ევროპის სახელმწიფოთა საკალკინიზაციო და საუფლებო ქვეყანა აღარ არისო, და ევროპაც იძულებული იქნება დაემორჩილოს ამ „განცხადებას“. — სპარსეთის განახლებული ცხოვრებაც ვინ იცის სად ნახავს მოკავშირე ძალას რომ უცხოთა თარეშს ბოლო მოუღოს თავის ტერიტორიაზე. განახლებული ოსმალეთი სხობს სხვა სახელმწიფოთა უფლებებს თავის ქვეყანაში, მეორე მხრით კი უფლები ერი, ოსმალეთში მცხოვრები, აფრიალებს დროშას ეროვნულ ავტონომიისას, და ოსმალეთიც იძულებულია დაუთმოს მათ.

აფრიკაშიაც კი იჩენს ხოლმე თავს ხან და ხან მიწრაფება დამოუკიდებლობისადმი. იქაური ერებიც რაღაც ჩოქრულში არიან, თუმცა ჯერ ცალ-ცალკე; მაგრამ საუბედუროდ შორს არის ის დრო, როდესაც ისინი აშერი-



კვლევასავით მოქსწრების მთელი კონტინენტის დამოუკიდებლობის უფლების აღიარებას მთელი ქვეყნის მხრით, ან ერთნაირ თვით-შეგნებას და ერთობას გრძობას, როგორც ეს ახლამი იქცება.

ავსტრალია თითქმის დამოუკიდებელია. იგი ფლობს სხვა კი იხეის ვითომც მეტროპოლიის დაცვის მიზნითაც, მაგრამ ჯერ ერთა სამხრეთ ამერიკაშიაც კი დამოუკიდებლობა „ეკლესიისთვის“ და „მეფე ფერდინანდისთვის“, რომელიც ამერიკის კოლონიების ჩამოშორებით გათავდა, — მეორე ავსტრალიისთვის და ინგლისის სხვა კოლონიებისთვის მხოლოდ ერთი ნაბიჯია სკირო, რომ საერთაშორისო სამართალმა იგინი თავის სფერაში შიადოს. თუ ამ ნაბიჯს არ სდგამენ, — ეს მათი შიშითა და სიუსტით არ აისხება, — არ ესკიროებათ დღევანდელ მორბეობაში. ხოლო მდღერნი და ძლიერნი იმდენად არიან, რომ უფლებების შეუძლიან წარმადგინონ ცალკე დამოუკიდებელი სასკლშიფონი. მონროეს პრინციპი იქ ჯერ თუ სავსებით არ ბატონობს, მათი ავტონომია თითქმის იმავე პრინციპს აღიარებს და ფორმალურადაც მისი აღიარება, როგორც არა ვსთქვით, მათთვის საძიელო არ არის.

ახიის ერთა შორის ჩვენა ვართ, შეიძლება, უფლებად უძღუნნი — კავკასიელები და კერძოდ ქართველები. ჩვენ, ქართველებმა გადავეცით ჩვენი თავი რუსეთს ხელშეკრულებით 1783 წელს და ამით მთელი კავკასია მივეციით მის ხელში. აქედან განავითარა რუსეთმა თავისი გავლენა სხარეთსედა და აქედან დაამარცხა ოსმალეთი. მაგრამ შემდეგ არც ჩვენ გამოვმდგარვართ სრულიად ღმრები. ქართველობა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დღევდა. აჯანყება მთიულეთისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, აფხაზეთისა, ქიზიუისა, მთელი სამცხე წლის განმავლობაში ბრძოლა კავკასიის მთის მცხოვრებთა, რომელსაც ერთი ერი — ჩერქეზებისა — მთლად შეეწირა მსხვერპლად, — იმასა მოწმობს, რომ ჩვენცა გვქონია გრძობა ჩვენ უფლებათა დაცვისა. განსაკუთრებით ქართველებსა გვაქვს კანონიერი უფლებაც ავტონომიური ცხოვრებისა, რომლის გარანტიაც ჩვენსა ხელშეკრულებამ მოგვცა. საერთაშორისო სამართალი ჩვენ სისარკებლად უნდა დაპირაკობდეს, თუ მის რამე მნიშვნელობა აქვს ზატარა ერთთვის.

მაგრამ ამახედ შემდეგ ვსთქვათ ცოტა რამ, როცა განვიხილავთ, რა გავლენა ჰქონდა საერთაშორისო სამართალსედა ამ მოძრაობას მეცხრამეტე საუკუნისას, და როგორი ნაბიჯი წარსდგა წინ ერის უფლების იღვამ საერთაშორისო სამართლის თვალთა ხედვით, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ და კიდევ განვიმეორებთ: არ არსებობს **საერთა-შორისო სამართალი, არამედ სახელმწიფოთა შორისო.**

III.

როგორც ამბობენ გამრჩენილნი მკვლევარნი საერთაშორისო სამართლისა, ევროპის კეიბოსობამ დაჰბადა უმთავრესად დ. დი იღვა საერთაშორისო სამართლისა. მეცამეტე საუკუნეში, როდესაც ევროპაში ვაჭრობა და მრეწველობა უკვე სავსად იყო გაძლიერებული, სკირო შეიქმნა ათასწიანი ხელშეკრულება სხვა და სხვა დიდსა და ზატარა საზოგადოებათა შორის. მაგრამ ამ დროს თანამედროვე სახელმწიფო არ არსებობდა და არც ერები იუენენ შეერთებულნი. მთელი ევროპა საერთოდ მანც საუკუნეთა განმავლობაში ომებში ხარჯავდა ჯარებულ ძალას. ზანისა და იმპერიის ორი უდიდესი ძალა იყო თანერეი მმართველი მთელი ევროპისა. შემდეგ, როცა განვიორდენ ხალხთა შორის დამოუკიდებულებანი უცხო ქვეყნათა აღმჩენისა და მრავალგვარ მეცნიერულ აღმჩენათა და გამოგონებათა წყლობით, საერთაშორისო სამართალმა უფრო რთული ხასიათი მიიღო, მაგრამ მანინც ძლიერ შეზღუდული იყო რადენობა იმ სახელმწიფოთა, რომელნიც შეადგენდნ სახელმწიფოთა საზოგადოებას, აგრეთვე ერებს არა ჰქონდათ აურიდელი ზიარება, არამედ დიდ მინარსიებსა და ერთა იმ ზატარა ნაწილებს, რომელსაც განსაკუთრებულ სავაჭრო ან სამრეწველო ძლიერების წყალობით რკეობდათ დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, ევროპის წარმომადგენელნი მანინც იკრიბებოდნენ ხოლმე, რომ საერთო მშვიდობიანობის წესები შეემუშავებინათ, უკვე იბადებოდა ახრი ერთი ევროპისა საერთაშორისო სამართლის მხრით. მაგალითად, ნიშევის კონგრესსედა 1675 წელს მინაწილებას იღებდენ საფრანგეთი, იმპერია, ესპანია, შვეიცარია, შვედეთი უდიდესი პრავინციები, დანია, და რომელნიც სხვა. ბრაუნშვეიგის კონგრესსედა 1697 წელს იუენენ: შვეიცარია, შვედეთი უდიდესი პრავინციები, იმპერია, დანია. უტრეხტის კონგრესსედა 1717 წელს იუენენ საფრანგეთი, ინგლისი, შვედეთი უდიდესი პრავინციები, ზორტუკალია, პრუსსია, პოლონეთი და სხვანი. ახენის კონგრესსედა 1748 წ. იუენენ: ინგლისი, იმპერია, ესპანია, სარდნია, შვედეთი უდიდესი პრავინციები, ტენუის რესპუბლიკა და მოდენის სამთავრო. აქედანა სჩანს, თვით მეთვრამეტე საუკუნეში რა შეზღუდული იყო რიცხვი საერთაშორისო სამართლის ქვეშევრდომთა. ამას გარდა ასეთი კრებები სრულიად შემთხვევით ხდებოდნენ ხოლმე, ამასთანავე დიდ სახელმწიფოებში, როგორც ესპანიაში და იმპერიაში, ათასი სხვა ერთი იყო ჩამჩინული ძალითა. ისინი ერთნულ უფლებას მოკლებულნი იუენენ.

საერთაშორისო სამართლის განვითარება სწორედ ერთა უფლებებისთვის ბრძოლამ გამოიწვია, მინც მას დასლოდებით ნამდვილი სამართლის ხასიათი, გააფართოვა



მისი გავლენის სიფერს, გამრავლა რიცხვი მის სკანთა, ჯეროთვე, სავსებით რა საკვირველია არა, მაგრამ ცოტად მაინც აღიარება მას უფლებას ურისა, და არა მარტო სახელმწიფოსი, რომელშიაც შესაძლებელია მრავალი ერი შედიოდეს. ეს პრეტენსი ერთა უფლებების აღიარების სახელმწიფოთა უფლებების ნაცვლად ჯერ არა თუ არ დამთავრებულა, ოდნავ არის მხოლოდ დაწვებული, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს იგიც განვითარდება და დამთავრდება ბუნებრივის წესითა. **ერთა ბრძოლის შემდეგ და ძლით განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფოთაგან**, საერთაშორისო სამართლის მიერ მათი მიღება და მათი თავისუფლების **დაკანონება**—პირველი მაჩვენებელია ამისა.

უმთავრესი პირობა, რომ საერთაშორისო სამართალში მიიღოს თავის სიფერში რომელიმე ერი, რომელიმე სახელმწიფო, რასაკვირველია თვით ამ ერის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში სტუმს პატივის იგი ერსა და სახელმწიფოთა საზოგადოების სწორუფლებიან წევრად აღიარებას.

1776 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებენ თავიანთ დამოუკიდებლობას ინგლისის მეფისაგან, და აღიარებენ თავიანთ თავისუფლებას ექონიონ საჯარო ხელ-შეკრულებანი ვისთანაც სურსთ. 1778 წელს ისინი საფრანგეთთან სდებენ ასეთ ხელ-შეკრულებას. 1782 წელს ივინი სდებენ ხელ-შეკრულებას შეერთებულ პრინციპებთან, 1783 წელს შეეცდისთან. ამავე წელს შეერთებული შტატები მივიდობიანობის ხელ-შეკრულებას სდებენ ინგლისთან. ერთი წლის შემდეგ თვით ინგლისი უკვე სრულიად აღიარებს შტატების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. აქედან იწყება მათი მონაწილეობა საერთაშორისო ცხოვრებაში. მარტო მათი განთავისუფლება და ხელ-შეკრულებანი რამდენად ართულებენ თვით საერთაშორისო სამართალსა და წინა სწევნ მისი მოქმედების სიფერსა, — ეს ცხადია, მაგრამ ეს წმინდა იურიდიული საკითხისა და არა გვიანტერესებს ამერიკის სამხრეთი კოლონიები რაც განთავისუფლდენ, მაშინვე დაიწყო აღიარება სახელმწიფოთა მიერ მათ დამოუკიდებლობისა. 1823 წელს შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ჯეიმს მონროემ პირდაპირ განაცხადა, რომ სამხრეთი ამერიკის კოლონიები უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფომ ხელი შეახო მათ უფლებას, ეს პირდაპირ თვით შეერთებულ შტატებისათვის ამის გამოცხადებას ნიშნავს. 1824 წლიდან იწყება ხელ შეკრულებანი ამ ხალხ სახელმწიფოთა შეერთებულ შტატებთან. პირველი ხელ-შეკრულება დაიდვა 13 თებერვლს 1824 წელს კოლომბიასა და შეერთებულ შტატებს შორის, შემდეგ უკვეა დასაბრუნ რესპუბლიკებთან. 1823 წელს ინ-

გლისის მთავრობამ აღიარა ამერიკის რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, 1824 წელს კი პირდაპირ აღიარა, — გართულდენ დამოკიდებულებანი ჩვენსა და მათ შორის და საჭიროა კონსულთა დაწინაურება. მალე სხვა სახელმწიფოებმაც აღიარეს მათი დამოუკიდებლობა და დასწერეს ხელ შეკრულებანი. ისმანამ 1829 წელს აღიარა მათი დამოუკიდებლობა. პრეზიდენტ მონროემ ამასთანვე პირდაპირ განაცხადა 1823 წელს, რომ ამერიკის მთელი ამერიკა დამოუკიდებელი უნდა იყოს ევროპისაგან, იგი ევროპის სავაჭროსადაც აღიარდა აღიარა იქნება, არამედ კრებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა. ამას ეწოდება მონროეს დოქტრინა ამგვარად მოპოვებულ იქმნა უფლებას მათი კონტინენტი-სა, გართულდენ საერთაშორისო დამოკიდებულებანი ხალხ სახელმწიფოთა შორის, გადადდა რიცხვი სწორ-უფლებიან ერთა დიდ საერთაშორისო საზოგადოებათა საზოგადოებაში.

რომ ძლიერ არ გავრცელდეს ჩვენი მოთხრობა, ჩამოვთვალოთ სახელმწიფოები, რომელნიც შეკადრენ განთავისუფლების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთ დამოკიდებულებაში. საბერძნეთი 1830 წელს აღიარეს სახელმწიფოებად სრულიად დამოუკიდებლად ლონდონის კონფერენციისაგან. 1831 წელს გაიყო სრულიად ბელგია ჰოლანდიისაგან და აღიარებულ იქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; უკვე 1830 წელს ბელგიის დროებითა მთავრობამ გამოაცხადა ბრაუსელში დამოუკიდებელი ბელგიის არსებობა. სახელმწიფოებმა იგი აღიარეს სრულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და სერთაშორისო საზოგადოების წევრად. — სენ-დომინგომ თავი განთავისუფლდა საფრანგეთისაგან 1804 წელს, მაგრამ მხოლოდ 1825 წელს იყო იგი აღიარებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. — ლიბერის რესპუბლიკა აღიარა დამოუკიდებლად უკვე 1848 წელს, კარდა შეერთებული შტატებისა, მაგრამ მათაც მოიღბეს ბოლოს გული და 1862 წელს მათ შორისაც პირველი ხელ-შეკრულება დაიდვა.

ოსმალეთის იმერია ხელ-შეკრულებანი წინადაც წჭინდათ ხოლმე ევროპის სახელმწიფოებს, თუმცა ძველი საერთაშორისო სამართალი მარტო ქრისტიანებს განიხილავდა თავის სავსად, და არა „უსჯულეებს“. მასი მიზანი — „საქრისტიანის“ მოწვევა იყო. 1553 წლიდან ასეთი ხელ-შეკრულებანი მრავლდებოდა. ოსმალეთს თითქმის უგულისხმან აქვს რამე პირობა და ხელ-შეკრულება. 1856 წელს კი, პარიზის კონგრესისხელ, ოსმალეთი ოფიციალურად პირდაპირ შედის საერთაშორისო სამართლის სიფერში, და ისიც იმიტომ, რომ ბალკანეთის დახარულ ერთა შეღებვა მოძრობა, საბერძნეთის განთავისუფლება და განუწყვეტელი ომი რუსეთთან, რომელიც საერთაშორისო სამართლის სიფერში



თვითონ მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში შევიდა, აი-  
ძულებდა ევროპის მუდმივ ჩარეოდნენ სოღმე ოსმ. იმ-  
ეთის საქმეებში და ბოლოს და ბოლოს ისიც დაემორჩი-  
ლებინა სერთაშორისო სამართლის საზოგადო წესები-  
სათვის.

ოსმალეთის მიღებაში სერთაშორისო სამართლის  
სიყვარში კიდევ უფრო განთავსდა სერთაშორისო დამო-  
კიდებულებანი და ეს განთავსება მანამ გამოჩნდა, რო-  
დესაც ოტტომანის იმპერიაში არსებულ ერთა უფლებების  
საკითხი დაეწებულ იქნა ბერლინის კონგრესისზე 1878  
წელს.

1861 წელს სარდინიის მეფე იტალიის მეფედ  
ხდება, სარდინიას უერთდებიან ეგვლა იტალიის პროვინ-  
ციები ვენეციისა და რომის გარდა. ევროპის სახელმწი-  
ფოებმა და ამერიკამ აღიარეს ახალი სახელმწიფო იტა-  
ლიისა. როდესაც კი იგი გაერთიანდა სრულიად 1870  
წელს, იტალია დიდ სახელმწიფოდ იქცა. შემდეგ იგი  
შევიდა ევროპის ხუთ დიდ სახელმწიფოთა კონცერტში,  
როგორც მეექვსე დიდი სახელმწიფო. ახლამ სახელმწი-  
ფომ ახალი ხელ-შეკრულებანი დასდგა სახელმწიფოებთან,  
ამისთანავე სარდინიის ხელ-შეკრულებანი ძალაში რჩე-  
ბოდნენ და მთელი სამეფოსათვის სავალდებულო იყვნენ.  
სამართლისა და მთელი ევროპის პოლიტიკის მხრით იტა-  
ლიის ერის განთავისუფლება, გაერთიანება და სერთა-  
შორისო სამართლის სიყვარში მთლიანად შესვლა ერთი  
უდიდესი ფაქტია მეცხრამეტე საუკუნის ისტორიისა.

ბერლინის კონგრესისზე მიიღეს სერთაშორისო  
სამართლის სიყვარში სერბია, ჩერნოგორია, რუმინია და  
ბოლგარია, თუმცა ძლიერ შეზღუდული უფლებებით.  
მაგრამ მათ უფლებათა აღიარება, როგორც დამოუკიდე-  
ბელ სახელმწიფოთა, მაინც დიდი ნაბიჯი იყო საზოგა-  
დოდ ერის უფლებების აღიარებისაკენ. მხოლოდ მას შემ-  
დეგ გაძლიერდნენ ეს დამოუკიდებელი და გაუფრთხილებელი  
ხალხები; რუმინიამ, სერბიამ და ჩერნოგორიამაც კი და-  
მოუკიდებელ სამეფოთა უფლება მოიპოვეს, ხოლო ბოლ-  
გარია ჩვენ თვალ-წინ ძლიერ, დამოუკიდებელ სამეფოდ  
იქცა 1908 წელს.

აზიის ერებსაც, როგორც მაგალითად ჩინეთსა და  
იაპონიას, ძველ დროიდანვე ჰქონათ მრავალი ხელ-შეკ-  
რულებანი სხვა და სხვა სახელმწიფოებთან, ხოლო მე-  
ცხრამეტე საუკუნის ბოლოში ისინიც შევიდნენ სრულიად  
სერთაშორისო სამართლის სიყვარში და შემდეგ შეი-  
ღება უდიდესი როლი ითამაშონ სერთაშორისო პოლი-  
ტიკაში.

ეს კიდევ რა, — სერთაშორისო სამართალს მოახსნი  
აქვს მთელი კაცობრიობა შეიყვანოს თავის სიყვარში;  
1885 წელს, ბერლინის კონფერენციისზე, სადაც კონ-  
გოს დამოუკიდებლობა აღიარეს, პირდაპირ იყო წამოყუ-  
ნებული ამერიკელ ჯონ კასინისგან პრინციპი ვულფონათა

ტერიტორიის დაჭერის წინააღმდეგ, თუ თვით  
ადგილობრივი მეცხოვრებნი წინააღმდეგ არ განაცხადებ-  
დნენ ამაზე თანხმობას.

არ ჩამოვთვლით იმ აზრებულ მაგალითს, რომელი-  
თაც სავსეა მეცხრამეტე საუკუნის სერთაშორისო სამარ-  
თლის ისტორია, თუ როგორ იღებდა იგი თავის სიყუ-  
რაში განთავისუფლებულ სახელმწიფოებს, ერებს, რო-  
გორც სწავლობდა ცოტათი მაინც დაეცვა ერის უფლება.  
ეს მაგალითები მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ  
გვეჩვენებინა, თუ რამდენი ვაჟა გამოუვლათ ერებს,  
რამდენი დრო გასულა, სანამ ბოლოს და ბოლოს მათი  
არსებობის უფლებას აღიარებდა სერთაშორისო სამარ-  
თალი. აგრეთვე როგორი პროგრესი განხორციელებია  
სერთაშორისო სამართალს კაცობრიობის ორგანიზაციისში,  
რომლის მისწრაფებაც სწორედ ის არის, რომ თვითთ-  
ვლ რასას, ერს მიენიჭოს დამოუკიდებლობა. მართალია,  
თანამედროვე სერთაშორისო სამართალი არ არის საერ-  
თაშორისო, არამედ სახელმწიფოთა-შორისო, მაგრამ  
ამასთან შედარებით, რაც წინა დროს, — შედარებით ძველ  
იმპერიასთან, ძველ იმპერიის მონარქიასთან, ძველ ინგ-  
ლისთან და საფრანგეთთან, ძველ ოსმალეთთან და აუ-  
სტრიასთან, — თანამედროვე სერთაშორისო სამართალი  
გაცილებით უფრო ბუნებრივად დანაწილებულ კაცობრიო-  
ბას განაგებს. ეს პროგრესი სერთაშორისო სამართლის  
ნამდვილ სერთაშორისო სამართლად გადაქცევისა არ  
დამთავრებულა, იგი ჯერ ახლია, მეცხრამეტე საუკუნის  
საქმე, და მომავალში დამთავრდება მხოლოდ ეს დიდი  
საქმე კაცობრიობის ბუნებრივი ორგანიზაციისა. ნამდვილ  
სერთაშორისო სამართლის შეფუბის პირობა, — ერთა  
თავისუფლება, მასხადაძვე დიდ იმპერიათა დაშლა. უნდა  
განთავისუფლდნენ, ევროპაში მაგალითად, პოლონეთი,  
ავსტრიის სლავიანები, ირლანდია, — ესენი უკვე აღიარებ-  
ნი აზრებულ გზას, — და როდესაც სერთაშორისო სა-  
მართალი მათ მიიღებს თავის სიყვარში, საზოგადოებათა  
საზოგადოებას ახალი წევრები მიემატება. — რასაკვირვე-  
ლია, ზოგი ერთი განთავისუფლების გზაზე, ზოგის  
ზრდა ჯერ არ დამთავრებულა კაცობრიობის სხვა და  
სხვა კუთხეებში; ვინ იცის რომელი რასა როგორ გა-  
მოვა ისტორიის ასპარეზზე და რამდენს ერს შექმნის,  
მაგრამ რაც უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა იყოს  
ცვალილება რასათა და მთელი კაცობრიობისა, თანამედ-  
როვე სახელმწიფოთა-შორისო სამართალმა მაინც უნდა მო-  
იღოს ფორმა ნამდვილ სერთაშორისო სამართლისა, და  
ეს იქნება პირველი მსხვერპელი როგორც საზოგადოდ  
სამართლის განწყობისა და გამოყვებისა, ისე მთელი კა-  
ცობრიობის ორგანიზაციისა. მეცხრამეტე საუკუნემ ამ  
მხრით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ ბევრი ერის განთავი-  
სუფლებით, და თუ უწინ, მეცხრამეტე და მეათამეტე  
საუკუნეებში, სერთაშორისო კონგრესისებზე რამდენიმე



უგრონის სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას, — ისიც ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც მრავალი ერთ ძალით ჰქონდა დამონებულა, უეფლებოდ, დღეს საერთაშორისო კონგრესებზედ მონაწილეობას იღებს უგრონის 22 სახელმწიფო, 21 სახელმწიფო ამერიკის, ხუთიადე აზიისა, რამადენიმე აფრიკისა. მართალია, დღეს კიდევ უარყოფა სახელმწიფოთაშორისო სამართალი საერთაშორისო სამართლისა მით, რომ ერის უფლებას არ ადიარებს როგორც აუცილებელ პრინციპს, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოთა შორის ბევრად ისეთი სადაც ერთი და სახელმწიფო თითქმის ერთი და იგივეა; ეს ერები განთავისუფლებულან და ისე მიუღია ივინა საერთაშორისო სამართალს, და მომავალში, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ერის უფლებას ადიარებს საერთაშორისო სამართალი უფრო ძლიერად, უფრო მკაფიოდ, უკრ ნათლად. საერთაშორისო სამართლის განხორციელებამდის ჯერ, რასაკვირველია, შორს არის, მაგრამ მის ნამდვილ პრინციპთა ადიარებამდის მგონა შორს არ უნდა იქონ საზოგადოებრივი აზრის მიერ მანინ, ამის მომასწავებელი სემოხსენებულნი პრინციპის საზოგადოება, საზოგადოებას აღბაღ მიჰყვება. მეტნიერება საერთაშორისო სამართლისა, მხოლოდ აუცილებელი საჭიროა უზირველეს უფლისა თვით ერთა ბრძოლა თავისუფლებისათვის და უფლები სათვის, რომ საერთაშორისო სამართალს ადიარებინოს ეს უფლება.

უკვე სემოხსენებულნი პრინციპისი ერთა განთავისუფლებასა ჰბადებს—თუ ერთა შორის არა, სახელმწიფოთა შორის მანინ სრული თანასწორობის იღებს, და ვინაოთ რას ამბობენ თანამედროვე მეტნიერნი საერთაშორისო სამართლისა ამ თანასწორობის შესახებ.

Báton.

(შედეგი იქნება).



### ჩვენი თანახმი.

ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის თუ არ ვირველი, არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს თეატრს. თავიდანვე დაწესებული რამდენიმე თავკანწირული, მუდამ ქონებრივად შევიწროებული, სძირად საზოგადოებისკან უპატრონოდ მიტოვებული თეატრის მოდკაწე თავკანწირულად ემსახურება სსსტენო ხელფანებას, რომელსაც ჩვენში არკვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. როდესაც ხალხს დასმული აქვს გზა თავისუფალ აზროვნებისა, შეკავშირებისა, საზოგადოებრივ საქმეთა მოწეობისა, მაშინ უნებლიედ ისეთ დარკს ხელფანებისა, როგორც თეატრია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ძალიან სძირად არტიისტი საზოგადოებრივ აზრთა მქადაგებლად გამოდის, ის ადგილებს ხალხში თავისუფლების სიუფარულს, ის ხელს

უწეობს ხალხის მოქალაქობრივ განვითარებას და ავით ეროვნულ საქმეს ემსახურება. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რუსეთში რევიმის შეცვლა საუალებას მოგვცემდა სხვა ასპარეზიც მოგვეპოვა საზოგადოებრივ აზრთა გამოსთქმელად, მაგრამ საწეუხროდ ჯერ ისევ ძველ მდგომარეობაში ვართ, ჩვენი ცხოვრების სათავეშია ერთი მხრით ისევ ჩვენი პრესა და მეორე მხრით ჩვენი თეატრი. და ამიტომაც ცხადია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვვიწვირობოდეთ, როგორც პირველს, ისე მეორეს. თეატრი ჩვენ არა მარტო ესთეტიურ გრძობათა დამკამფოფილებელ სმვალებად მიგვანხია, ისაა ჩვენი საზოგადოებრივი აღმზრდელიც. აქედან აუცილებელია ჩვენი მხრით განსაკუთრებული ყურადღება ამ ეროვნულ სკოლისადმი.

მართლაც დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული საზოგადოება ცდილობს შესაფერად დაფასოს ეს თავისი ტაძარი და ზომებსაც ღებულობს, რომ მის ზრდას და განვითარებას ხელი შეუწეოს. ქუთაისში უკვე დაიწყო თეატრის მოქმედება. თუ ამ ორიოდე წლის განმავლობაში ქუთათურებს გული აცრუებული ქონდათ თეატრზე, დღეს ჩვენ წიადმდგეს ვხედავთ. პირველი წარმოდგენა უკვე გვიჩვენებს, რომ როგორც არტისტების მხრივ, ისე საზოგადოებისა, თეატრს დაბრუნდა ძველი სიმშატია, უფრო განხორციელებული და გაძლიერებული. დღეს ტფილისშიაც იხსნება თეატრი. აქაც იმავე განხორციელებას და ყურადღებას მოვუვლით და რომ ჩვენი იმედი გამართლდება, ამას სხვათა შორის ორი გარემოებაც მოწმობს. ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელებმა უფალი დონე იღონეს, რომ თეატრი ხალხს, მღირედი შედეგების მქონეთ დაუსლფონ. ამისათვის იმათ საზოგადო წარმოდგენებსაც ფასები დაუკლეს. გარდა ამისა სახალხო წარმოდგენებიც მოაწევენ. თფილისსაც აქვს სახალხო თეატრი, სადაც შესაფერად მომზადებული ემსწილები უსგაროდ და დირსეულად ემსახურებიან სახალხო სტენს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე მოვლენა. ჩვენ თითქმის შიში ვიყავით, რომ წავიდა ქართული სტენის გმირული ხანა, როცა ხელფანებით და საზოგადოებას სასახურით გატაცებულნი თავის პირად ბედნიერებას იკაწეებდენ და ამჯობინებდენ სანახევროდ მშიერ-მწეურვანნი უოფილიყვენ, სოლო მთავარი მოქალაქობრივი მოვალეობა დირსეულად შეესრულებათ. მაგრამ აი ხალა იმედი გვიძლევა, რომ ჩვენი თეატრა კვლავ აღმოსინების და ზრდას გზასე ადგია. უკვე რამდენიმე ახალგაზდა, ხელფანების მტოლნე და მოტრთიადლე ემსწილი გამოდის სტენსაზე. ჩვენ განსაკუთრებული სიამოვნებით და აღტაცებით აღვინისავთ ამ მოვლენას, რადგან საწეუხროდ დღემდის ნაკლებ ვამხსენვლით, რომ ქართული ამჯობინებდენ თავისუფალ საზოგადო ასპარეზს სხვა სემსახურს, სადაც მას მეტი ქონებრივი უსრუნეულ-ყოფა მოვლის. ხალა ძალების გამოსვლა, ახალ მისხიობთა შექენა ჩვენი სტენის განვითარების



და ზრდის თავდება. ხოლო ეს განვითარება მხოლოდ მაშინ იქნება მეტიდ ნადავზე, როცა თვით საზოგადოებაც შესაფერი უურადლებით და ზატევისტეით მოეპურება თავის სტენსს. ამიტომ ჩვენ მიკმართავთ ქართველ საზოგადოებას და ვაწვევთ მას შეკრებულად და დირსეულად დაუჭირონ მხარი ჩვენ სტენსს დი ამნაირად უსრუნველურთ ერთი ჩვენა ერთენული ბერჯის ზრდა და წარმატება.

# ქართულ სამართლის ისტორია.

პირველი ნაწილი (VIII—XII) ს.

## თავი I.

ქართული სამართლის წყაროები.

სად იწყობა ათაბაგ აღბუღას სამართალი ეს ცხადია და გამორკვეულიც არის, ხოლო სადა თავდება იგი, ამის გამორკვევაც ძალიან ადვილი საქმე იქნება, თუ თვით აღბუღას წინასიტყვაობის შინაარსს დავაკვიროთ. იგი აღნიშნავს, რომ იმის დროს ავკაცობა და „ლაშქარა ცხენთა პარვა შექნილ იყო“; ეს ათაბაგს „სწყენია“ და „საპატიოთა კაცთა მ ს წინაშე სხდომითა და ბკობითა **სპარო საუნჯოთა და მეკობრის საპატიოთა განაჩენნი** ძველსავე მიაყოლეს და ესრეთ გააჩინეს“ (§ 66). მაშასადამე აღბუღას მიერ შეცრებილ კანონმდებელ საბჭოს სავანს „საპარო საუნჯოთა და მეკობრის საპატიოთა“ განაჩენნი შეადგენდა, ესე იგი დანაშაული საკუთრებისა და ქონების წინაღმდეგ და მეკობრობა ანუ ავაზაკობა.

მართლაც, მე-66-ე მუხლიდან მოყოლებული ვიდრე 99-ე მუხლამდე, რომლითგან ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი იწყობა, თვითაველი კანონი აღბუღას მიერ დასახელებული ბოროტ-მოქმედებისა და დანაშაულებს დარგს ეხება: § 66—ცხენის ჰარჯის, § 67—სხვისჯან ნათხოვარ საკუთრების მითვისებას, § 68, 69,—ქონებრივ თავებობის პირობებს, ესე იგი „საუნჯოს“, § 70—გლეხ მსხმსხურის შემოტანილ-მონაკების შესახებ, ესე იგი საუნჯოს, § 71—გლეხის ემად ფლობის შესახებ, § 72—თავდაწერილ კაცის წასვლისა და წაგერის პირობები, § 73—იგივე თავდაუწერელ კაცის შესახებ, § 74—ნათხოვ ემისა და გლეხის წასვლის, ან სიკვდილის სახლათს შესახებ, § 75—მართებულ ემის წასვლის შესახებ, § 76—რა პირობით შეეძლოთ გლეხების ქონება გაეიდნათ, ან დაეწინდნათ, § 77—ბუნდოვანი შინაარსი აქვს. § 78—

ემის კიდე წასვლის უფლების პირობები, § 79—დაქირაზ რავებული კაცის, ან საქონლის საზღაური დაზიანებისათვის, § 80—ბუნდოვანი შინაარსი აქვს, § 81—მზითვის დამკვიდრების პირობები, § 82—გლეხთა შორის მზითვის დამკვიდრების კანონი, § 83—თეთრის ვაღისა და ვახშის გადახდის კანონი, § 84—საბატონეო სამდურავის გარეგვის შესახებ, § 85—ქრთამის მიტემის პირობები, § 86—ქერდობის დაწამების შესახებ, § 87-88—ამნათის შესახებ, § 89—ნსუიადობის უკან დაბრუნების პირობები, § 90—ქრთამით ნაბჭობის გაბათილება, § 91—ომში დარჩენილის კაცისა და აბჭობის დასაკუთრების სამართალი, § 92—დაკარგულის შესახებ, § 93—ზურის ვაღი, § 94—თეთრის ვაღი, § 95—წივნით ნაფადები თეთრის შესახებ, § 96—გაჭრის სისხლი, § 97—გაჭრის გაცარცვისათვის სსჯელი, § 98—კაცის წასვლის შესახებ.

ერთი სიტყვით ვგონებ სამართლიანი იქნება დავსკვნათ, რომ აღბუღას კანონები §§ 66—99-შია მოქცეული, ხოლო აქედან მოყოლებული დასასრულამდე ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნის ერთი ნაწილი უნდა იყოს შენახული\*). ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მაშინ იქნება უფრო ადვილი, როცა ბექა-აღბუღას სასამართლო წიგნი ძველ, ვახტანგზე წინადროინდელ ხელნაწერებში აღმოჩნდება\*\*).

ამ მე-IX-ე მე-X-ე საუკუნის სამართლის წიგნის გარდა უეჭველია შემდეგ საუკუნოებშიც, მაგალითად, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროსაც იქნებოდა გამოცემული კანონები, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ჯერჯერობით ამის შესახებ არაერთი ცნობები არ აღმოჩენილა. ამ ბოლოს დროს მხოლოდ ე თაყაიშვილმა იპოვნა ვგონებ მე-XIII-ე საუკუნის სახელმწიფო „გარიგება“. სახელმწიფო წესწყობილების შესახებ წავლად დაუშრეტელი წყაროა და ძვრუასი განძი ეს

\* ) ყურადღების ღირსია ერთი მინაწერი, რომელიც მე შემავდა სრულებით მოულოდნელად, როცა ეს გამოკვლევა უკვე დამთავრებული მქონდა. პეტრ სამეცნ. აკადემიის სახლი მუზეუმის Ms. Georg. № 99 ვახტანგის სასამართლო წიგნის ბოლოს: „ბაგრატ კურაპალატის სამართალი აღბუღადამ. მუხლი 141. თუ ცოლი დასწულდეს ქარი ცოლის გვარს ანს ემართლების“... და სხვა; ეს მუხლი მართლაც იქ მოიპოვება. ე აყობა ამ მინაწერის უცნობს ავტორს სკოდნია, რომ აღბუღას სამართალში ბაგრატ კურაპალატს სამართალი შეტანილი, რომ § 141-იც იმავე კანონმდებელს ეკუთვნის. სამწუხაროდ არა ჩანს, რომელს ბაგრატს გულისხმობდა ავტორი.

\*\* ) ბ. ა. ფიქრიშვილი დიდად დავაჯავლებს, თუ თავის ხელნაწერს, რომელშიაც ბექა-აღბუღას სასამართლო წიგნი ყოფილა შენახული, დროებით გვათხოვებს და ამით ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გადაწყვეტას გავაადვილებს.



ახლად აღმოჩენილი ძეგლი. სასურველია რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს იგი. შენახულია გიორგი I-ე ბრწყინვალეს (1318—46) „ძეგლის დადება“, რომელიც მუხთაღის ბედს მხოლოდ იმიტომ გადურჩა, რომ ვახტანგ მე-VI-ემ თავის ქართულ სასამართლო წიგნების კრებულში ჩაურთავა\*). „ძეგლის დადება“ მთელ სამეფოსათვის არ არის შედგენილი, არამედ, როგორც თვით ამ სასამართლოს წიგნშია ნათქვამი, „მათიულთა“თვის; ახალ შედგენილ კანონებით უნდა მხოლოდ „ჯვარათაყელს აქეთ, ხადა ცხაოტს, ზანდუკის ხევის კიბეთ ქვეშეთ და მენესოს ზემოთ“ (იხ. პეტერბ. სამეცნ. აკადემ. საზიო მუზეუმ. ხელთნ. № 99, გვ. 19) ეხელმძღვანელათ; მაშასადამე ამ „ძეგლის დადებას“ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონია; დ. ბაქრაძე და ნ. ურბნელი ამტკიცებდნენ, რომ გიორგი ბრწყინვალემ ამ მთაულთა სასამართლო წიგნის გარდა მთელ საქართველოს სამეფოსათვისც გამოსცა საზოგადო სასამართლო წიგნით (ფრენკელის გამ. Сѣверникъ зак. груз. ц. Вахтанга, დ. ბაქრაძის რედაქც. 1. გვ. 81 და ნ. ურბნელის „ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“, გვ. 1), მაგრამ ეს აზრი მკონი სწორე არ უნდა იყოს და თვით მეფე გიორგი მე-VI-ის სიტყვებსაც ეწინააღმდეგება; მეფე „ძეგლის დადებას“ წინასიტყვაობაში ბრძანებს: „ესცანიოთ ესე, რომელ ღთივ გვირგვინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა\*\*“) მეფეთაგან ამათ (ე. ი. მთიულებს, ხელნაწერში შეცდომით სწერია „ამად“) არ გასჩენოდათ ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხვათა მრავალთა უწყესოთა მიმძღვარებულთა საქმეთა, — რომელთამე (ხელნაწერში შეცდომით „რომელნიმე“ სწერია) საქმისა რომლისათვის ჰპრიანებოდათ აღრევით ყოფა ერთმანერთსა შიგან და რომელთამე სხვისა ჟამისა შემოსრულობისათვის უკვე (ხელნაწერში ამ სიტყვას შეცდომით მისდევს „ყოფა“) გაჩენა ვერ ჰსწრებოდეს-ღა სრულად მთულთა საქმითა მოკლებასა და გაჩენასა“ ხელნაწ. საზოგადო. მუზ. № 99, გვ. 1 ა). ამგვარად საქართველოში მეფე გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიულებს არა ჰქონიათ სასამართლო წიგნი, დანარჩენ სამეფოში მაშასადამე გიორგის დროსაც მოქმედობდა განსვენებულ ღთივ გვირ-

\*1) ესღა ეს ძეგლი ცალკე წიგნდაც აღმოჩნდა იმავე ხელთნაწერებში, რომელშიაც სახელწოდება კარის „გარიგება“ მოთავსებული, როგორც ეს შემატყობინა პატივცემულმა ე. თაყაიშვილმა.

\*2) ეს სიტყვა „ჩენა“ გვირის ჩამომავალს ჰნიშნავს, იმიტომ რომ წინაპრული „სანატრელთა“ გვირგვინებს, რომ მეფეს წინაპრებზე აქვს ლაპარაკი.

გვირგვინთა და სანატრელ მეფეთაგან ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა“ განჩენილი სასამართლო წიგნები. ხოლო რაკი მთიულები გიორგის დრომდე უკანონებოდ ყოფილან, ამიტომ მეფეს ეს ნაკლი შეუესია და მხოლოდ მათთვის ძეგლი შეუდგენია; დანარჩენ სამეფოსათვის გიორგი მე-VI-ეს, როგორც სჩანს, წინანდელი და მომქმედი კანონები საკმარისად მიაჩნდა და რასაკვირველია არც ახალი სასამართლო წიგნის შედგენას დაიწყებდა.

გიორგი ბრწყინვალე ამტკიცებდა, ვითომც ქართველი მეფეები მთიულებს იმიტომ არ უღებდნენ სასამართლო წიგნსა, რომ მათ „ეპრიანებოდათ მთულთა აღრევით ყოფა ერთმანერთსა შიგან“, ესე იგი მათთვის სასარგებლო იყო, როცა მთიულებს ერთმანერთში დავიდარაბა ჰქონდათ ატეხილი და ერთმანერთსა სკამდენ; საბუთებიდან არა სჩანს, რამდენად სამართლიანია ამგვარი ბრალდება; უფრო სწორე იქნება ვკონებ ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფეები მთიულების შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ და ადგილობრივ სამართლის საქმეს ხელს არ ახებდნენ; ამასთანავე თამარ მეფის მემკვიდრის „მთიულთა, ფხოვლთა და დიდოთა“ შესახებ ცნობებს ეტყობა, რომ მაშინდელი განათლებული ქართველი საზოგადოება ჩამორჩენილ მთიულებს მედიდურად უყურებდა და დიდ ფასს და ღირსებას არა სდებდა (ქცა 484, „ფხოვლნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენო“); შემდეგ, როცა საქართველოს მონღოლები შემოესივნენ, თუნდაც რომ სდომნოდათ, მეფეებს „სხუისა ჟამისა შემოსრულობისათვის“ აღარ შეეძლოთ წადილი განხორციელებინათ. გიორგი ბრწყინვალეს მთიულებში საქართველოს კანონები რასაკვირველია „მიიტომ არ შემოუღია, რომ იქაურ ცხოვრების პირობებს არ შეეფერებოდა. „ძეგლის დადება“ მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართალს შეიცავდა, — თვითვე მეფე ბრძანებს წინასიტყვაობაში: „ჩვენ მსოფლიოსა ამის სისხლი, პატივი და სასაქმო გაგვიჩენია“-ო (საზიო მუზ. ხელთნ. № 99, 1 ბ.), და იქ „სასჯულო საქმე და საეკლესიო“ გამოტოვებულია. ჩვენდა სამარცხვინოდ „ძეგლის დადება“ ჯერჯერობით დაბეჭდილი არ არის.

„ძეგლის დედების“ გარდა მე-XIV-ე საუკუნეშივე, მხოლოდ მეორე ნახევარში, კიდევე ერთი სხვა სასამართლო წიგნიც იყო დაწერილი, თუმცა იგიც მთელ საქართველოსთვის არა ყოფილა დადებული, არამედ „ძეგლის დადება“-სავით მარტო საქართველოს ერთი ნაწილისათვის, მაგრამ ამ ნაწილს ფართო საზღვრები ექირა და ეროვნულ ცხოვრებაშიც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა; მანდატურთ უხუცეს



ათაბაგ ბექას (1361—91) სასამართლო წიგნზე გვაქვს საუბარი; სამწუხაროდ ეს ძველი ჯერჯერობით ცალკე; ისე რომ ათაბაგ აღბუღას წინასმტყვაობა არ მიუძღოდეს და ბოლოში მისივე კანონები მიმატებული არა ჰქონდეს, არსად აღმოჩენილა, რომ თვით ბექას წინასიტყვაობიდან გავვევო, თუ რა გარემოებამ აიძულა ახალი სასამართლო წიგნის შედგენა. უეჭველია მხოლოდ, რომ უმათერესი მიზეზი ცხოვრების პირობების შეცვლა უნდა ყოფილიყო, ძველი კანონები აღარა კმარადა. ბექას სასამართლო წიგნი, როგორც ჩინებულად დაამტკიცა ნ. ურბნელმა (იხ. „ათაბაგნი ბექა და აღბუღა, გვ. 2—3) და უფრო წინად აღნიშნა პ. იოსელიანმა (Исторія груз. церкви, გვ. 166, შენიშ.) იწყობა აღბუღას კანონების პირველი მუხლიდან და 65 მუხლით თავდება, 66-ე მუხლი უკვე ათაბაგ აღბუღას სასამართლო წიგნის წინასიტყვაობას წარმოადგენს (იხ. პრ. ჩუბინაშვილის 1863 წ. გამოც. ქართულ ქრისტიანობაში გვ. 209 და 220); აღბუღას წინასიტყვაობიდანა სჩანს, რომ ბექას სასამართლო წიგნს უმათერესად „სისხლისა და გერმისა, დახმისა და ღალატის და რაკინდაფერი დსაურვებელი საქმე“ები ჰქონია სახეში (ibid. გვ. 203); თვით ბექას სასამართლო წიგნი შენახულია აღბუღას კანონებში.

ვგონებ სამოც წელაწადსაც არ გაუვლია მას შემდეგ, როცა მანდატურთ-უხუცესმა ბექამ თავისი კანონები გამოსცა, როგორც მისმა შვილიშვილმა ამირსპასალარმა აღბუღამ (1441—1451 წ.) ახალი სასამართლო წიგნი შეადგინა და თავის პაპის კანონებს მიუმატა; „დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა, მანდატურთ უხუცესისა ბექას განაჩენი“ო, ამბობს თვით აღბუღა, „და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავწერეთ და რაცა ყამთა სხვითა სხვანი უწესონი საქენი შემოსულიყვნენ მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ“ო (ibid გვ. 208); მაშასადამე ახალი კანონების საქროება თვით ცხოვრებას გამოუწვევია და ნახევარ საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი პირობები იმდენად შეცვლილია, რომ ძველი კანონები საქმარისი აღარა ყოფილა. უმათერესი მიზეზი ისა ყოფილა, რომ ცარცვა-გლეჯა მტად განშორებულა: „თავად ლაშქართა ცხენთა პარვა შიქნილიყო“ და „ეს იწყინა“ (§ 66) ათაბაგ აღბუღამ და ამის გამო საპატიო კაცება შექყარა და ბქობის შემდეგ „საპარო საუნჯოთა და მეკობრის საპატიუოსა განაჩენნი ძველსავე მიაყოლეს“ო, ნათქვამია აღბუღას წინასიტყვაობაში (§ 66); ამგვარად აღბუღას მხოლოდ ქურდობისა და ავაზაკობის შესახებ დაუდგენია

ახალი კანონება; ეს ძერფასი ცნობა ცოტა არ იყო საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ სად უნდა თავდებოდეს აღბუღას სასამართლო წიგნი; ეს საკითხი სრულებით საფუძელიანია და კანონიერი მეტადრე მას შემდეგ, როცა დავრწმუნდით, რომ §§ 99, 100, 101, 102, 103 და 104 უეჭველად და ვკონებ §§ 161, 162, 163, 164, 165, 166, 167+152, 167 bis, 168 და 169-იც ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტად უნდა ჩაითვალოს. აღბუღას სამართალი 66-ე მუხლით იწყობა და ჩუბინაშვილის გამოცემით 175-ე მუხლითა თავდება, ნამდვილად კი 176 მუხლია, იმიტომ რომ ორი მუხლი შეცდომით ჩუბინაშვილს ერთ რიცხვად აქვს აღნიშნული; ბაგრატ კურაპალატის დროინდელი 17 კანონი რომ გამოვიდეთ, დარჩება 94 მუხლი; ჯერჯერობით ძნელი გამოსარკვევია, ამ 94 მუხლში უძველეს სასამართლო წიგნებიდან შეტანილი კანონები აღბუღას მიერ არის დართული, თუ ვისმე გადააწერს შემთხვევით მიუმატებია? ამ საკითხის გამორკვევა აუცილებლად საჭირო. ათაბაგ აღბუღას სასამართლო წიგნი „სამცხის ხუთი თემისათვის“ არის შედგენილი, მათ შორის ტაო, შავშეთი და კლ რჯეთიც იყო (ქნკბი II, 257 დაბეჭდილია აღბუღას კანონების უძველეს ხელნაწერიდან ამოღებული წინასიტყვაობა). ბექა და აღბუღას კანონები დაბეჭდა პრ. დ. ჩუბინაშვილმა თავის 1863 წელს გამოცემულს „ქართულს ქრისტიანობაში“ (ნაწილი პირველი გვ. 208—233); ჩვეულებრივ ეს სასამართლო წიგნი ვახტანგ მე VI-ის ქართულ სასამართლო წიგნების კრებულში არის ხოლმე მოთავსებული და მხოლოდ ერთი ხელნაწერია აღმოჩენილი ჯერჯერობით, სადაც ბ. თ. ჟორდანიას მოწმობით (მას ეს ხელნაწერი ხელთა ჰქონია) აღბუღას კანონები ცალკეა მოთავსებული და „აღბუღას კანონები გამოაქმნილია უფრო მოკლედ და აქა-იქ საყურადღებო განსხვავებით... შესანიშნავია იმითაც, რომ მას აქვს სათაური ანუ წინასიტყვაობა“ (ქნკბი II, 256—7; თვით ხელნაწერი 1670 წელსა ყოფილა გადაწერილი, ესე იგი გაცილებით უფრო ადრე ვიდრე ვახტანგი თავის კრებულს შეადგენდა; ეს ხელნაწერი ეკუთვნის აურმე ა. ფეიქრიშვილს (ibid. II, 256); ვინც ათაბაგ ბექა და აღბუღას კანონების გამოცემას განიზრახავს, იმან თავდაპირველად ეს 1670 წ. ხელნაწერი უნდა შეისწავლოს.

აღბუღას სასამართლო წიგნის შემდეგ მე-XVI-ე და მე-VII-ე საუკუნოებში, საქართველოში როგორც ეტყობა, ახალი სასამართლო წიგნი არ შეუდგენიათ; მხოლოდ მე-XIII-ე



საუკუნის პირველ ნახევარში ცხოველდება კანონმდებლობა. სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა; ასეთი დაუღალავი, მდგრადი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ებყრა უფლებას გვაძლევს ქართულ მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად; თითქმის ყველა ამ დროინდელ მოღვაწეების აზრი და განება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველ ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალ საუკუნოების ნამუშევარი და ქირანახული შეეკრებათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გარდაეცათ. ამ დიად საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად გიორგი XI და განსაკუთრებით დიდებული, დაუფიწყარი ვახტანგ მე-VI-ე იყო; იგი ჰკრებს ჩვენის ქვეყნის წარსულისა და მატიაწეების დახელოვნებულ მკვლევ პირებს, მათის დახმარებით საისტორიო მასალებს ერთად თავს უყრის, ძველს ავსებს და ასწორებს; იგი აგროვებს ქართულ სამართლის ძველ ნაშთებსა და ძველებს და ერთს სასამართლო წიგნების კრებულს ადგენს; იგი ჰკრებს გამგეობისა და მოხელეობის შესახებ მასალებს და ერთს საზოგადო სახელმწიფო გამგეობის წესრიგის წიგნს ადგენს. ამაზე ცოტა წინადაც საბა სულხან ორბელიანი ოცდა ათი წლის ბანძვლობაში ქართულ ლექსიკონისათვის მასალებს აგროვებდა და ჩვენის დედანის სიუნჯეს ადგენდა; იმის დროს ქართულ ენის ლექსიკონი „არღარა იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინაჟთჳან პატიოსანი ესე წიგნი დაპყარგოდათ ენაჲ ქართული თვისთა ნებათა ზედა გაერყენათ“ და მეფე გიორგიმ უბრძანა საბას ახალი ლექსიკონი შეედგინა „რათა ისწავლონ ენაჲ ქართული შესრულებული და განვრცლებული“ (იხ. საბა სულხან ორბელიანის ქართული ლექსიკონი, გვ. III—IV). ვახტანგ მე-VI-ის შვილი ბატონიშვილი ვახუშტი ამავე ხანაში თავის შესანიშნავ საქართველოს საგეოგრაფიო აღწერილობას ადგენს; ხოლო ანტონი კათალიკოსი ქართულს გრამატიკასა სწერს და ქართულ მოღვაწეების შესახებ ცნობებს აგროვებს. მრავალ მხრივი იყო და საყურადღებო ეს ხანა და ცხოვრების განახლების მომასწავებელი, გარეშე პოლიტიკურ გარემოებასა, მტრების შემოსევასა და ქვეყნის ახრებმას რომ ეს ღრმა მოძრაობა არ დაებრკოლებინა!..

მე-VI—XVII-ე საუკ. საქართველო ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო, რომ სასამართლოს სწორე მოქმედება არ შეეძლო, მართლმსაჯუ-

ლება შელახული ყოფილა; „ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდნენ და განაგებდნენ“ (ო, ამბობს მეფე ვახტანგი, „ვიეთნიმე მოყტსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღუთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთ მითა, ვითარცა ენებათ ეგრეთ ჰსჯიდნენ“ (იხ. ჩუბინაშვილის ქრისტიანობა, პირველი გამოც. გვ. 394). დაცემულ მარ ღმსაჯულების აღდგენისათვის ვახტანგ მე-VI-ემ თავდაპირველად შეკრიბა ქართული ძველი სასამართლოს წიგნები „კათილიკოსისა და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები“, ზედ დაურთა „დაბადებისა მოსეს მიერ ქმნილი სამართალი და კუთლად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნილი“ (ibid. 395); ამ შრომის შემდეგ მან დიდებულ სამღვდლოებისა და მოხელეების თანა დასწრებით და „დაბრზის ერთა, ქუთათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა“ თანამშრომლობით ახალი სასამართლო წიგნი შეადგინა. მოსეს სჯულის წინ, შესავალში, რომელიც თუმცა თვით ვახტანგს არ ეკუთვნის, როგორც სამართლიანად შენიშნა დ. ბაქრაძემ (Сбор. зак. груз. п. Вахтанга, გვ. 146, შენ.), მაგრამ რომელშიაც მისი სურვილი და წადილი, რამაც აიძულა ახალი კანონები შეედგინა, მაინც კარგად არის ახსნილი, ნათქვამია: ვახტანგი ხედავდა, რომ მოსესი, ბერძენული და სომეხური კანონები ყოველთვის ვერ გამოდგებოდა, მიტომ რომ სხვა ქვეყნებისათვის იყო შედგენილი და საქართველოში სულ სხვა პირობები არსებობდა, რომელთაც ადგილობრივი შედგენილი სასამართლოს წიგნი უკეთესად მოუხდებოდა და მიუდგებოდა (ibid. 146); მაგრამ ახალ კანონების დადგენის შემდეგაც ვახტანგი კარგად გრძობდა, რომ მისი ნამუშევარი სრული არ იყო; ამ ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, არც ვიციებ, როე არა აკლდეს რა“ (ო, გულ წრფელად აცხადებს კანონმდებელი, „ბევრი ასეთი სჩივრები არის და მოვა, რომ ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწუდების კაცის გონება“ (იხ. ჩუბინაშვილის ქრისტ ვვ. 395). მოსამართლეს განაჩენის დადგენის დროს ჯერ წინანდელი და ახალი გამოცემული კანონები უნდა გაეისინჯა და თუ იქ შესაფერისს ვერას იპოვნიდა, მაშინ იგი თითონ „მხუდეს რასამე და მოიკონოს“ განაჩენი და თუ ამ „მოკონებულს“ სასამართლო წიგნში ჩაურთავს და ჩასწერს, „კარგსა და მართე ბულს იქს“ (ო, დასძენს ვახტანგ მეფე. თუმცა ვახტანგის სასამართლო წიგნი და კრებული ქართლისათვის იყო შედგენილი, მაგრამ მაინც მთელ საქართველოში იყო მიღებული, დასავლეთშიცა და აღმოსავლეთშიც.

ი. ჯავახიშვილი.

(შემდეგი იქნება).